ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

შაბათი – კვირა, 25 – 26 მარტი, 2017

№71 (7306)

ფასი: 50 თეთრი

ანქვაბმა არჩევნები მოიგო, შამბამ წააგო

გვ.3

ანექსირებულ აფხაზეთში არჩევნების მეორე ტური იმართება

24 მარტიდან

ინეს ალბრეხტ ენგელი, დოქ. მანფრედ ალბრეხტი

ორსულობა და მშობიარობა

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

„ივანიშვილმა თავის სასახლეში შეასახლოს მთავრობა, უფრო იოლად გააკონტროლებს“

გვ.5

ლაშა ჩხარტიშვილი: „ხელისუფლება გარემოვაჭრეების მასობრივ აყრას აპირებს“

გვ.4

„რა მნიშვნელობა აქვს, სად დიმარხები, პანთეონში თუ ჟორას ბოსტანში“

ირაკლი ალადაშვილი: „თუ შენს არმიას არ გადაუხდი, სხვისი არმიისთვის გადახდა მოგიწევს“

გვ.2

დავით რაქვიაშვილი: „თუ ვლადიმირ პუტინს ახლა ვერ შევაჩერებთ, მერე მისი შეჩერება უკვე შეუძლებელი იქნება“

გვ.2

გარემოვაჭრეებისთვის ბაზრობებზე ადგილები გამოიყოფა

გვ.6

ISSN 1987-9385

გვ.6

საქართველოში ქალების საშუალო თვიური ხელფასი მამაკაცების ხელფასზე ნაკლებია

ირაკლი ალადაშვილი: „თუ შენს არმიას არ გადაუხდი, სხვისი არმიისთვის გადახდა მოგიწევს“

ნათია ხურცილავა

იჰაჯი ალადაშვილი, სამხედრო-ანალიტიკოსი ჟურნალ „ახსენალის" მთავარი redaktori, „ახალ თაობასთან" ინტერვიუში აცხადებს, რომ უნდა მოვძებნოთ სახსრები, ჩათა სათანადო დონის რეზერვი შევქმნათ.

„რეზერვი უნდა არსებობდეს. ქვეყანას გასაჭირში თავისი მოქალაქეების იმედი უნდა ჰქონდეს“

– ბატონო ირაკლი, თავდაცვის სამინისტრომ სარეზერვო სამსახურის ახალი კონცეფცია შეიმუშავა. საუბარია ახალი ტიპის სარეზერვო სამსახურის შექმნაზე, რომელიც იქნება ნებაყოფლობითი და ანაზღაურებადი. რამდენად არის საჭირო სარეზერვო სამსახური?

– ნებისმიერ ქვეყანას, რომელიც თავის თავს პატივს სცემს და საკუთარი ქვეყნის უსაფრთხოებაზე ზრუნავს, სარეზერვო სამსახური უნდა ჰქონდეს. არცერთ ქვეყანას, თვით ზესახელმწიფოებსაც კი, არ შეუძლიათ, შეინახონ რამდენიმემილიონიანი რეგულარული არმია. ამიტომ ყველა ქვეყანა ცდილობს, კარგად მომზადებული რეზერვი ჰყავდეს, რომლის გამოყენებაც შეიძლება როგორც თავდაცვის დროს, საომარი ოპერაციებისას, ასევე სტიქიური უბედურებების დროს.

საქართველოში ორჯერ იყო მცდელობა, რომ სარეზერვო სამსახური შექმნილიყო, თუმცა, სამწუხაროდ, ორჯერვე ეს იდეა ჩაფლავდა და რამდენიმე ათეული მილიონი ლარი დაიხარჯა. ეს კარგად გამოჩნდა 2008 წლის ომის დროს.

– მთავარი ხარვეზი სად იყო?

– ხარვეზი იყო მომზადებაში. ეს ადამიანები მომზადებულები არ იყვნენ. სამწუხაროდ, ხშირად ეს ყველაფერი პიარს ემსახურებოდა და სხვას არაფერს.

– ახალი კონცეფცია რამდენად მისაღებია?

– უკვე რამდენი ხანია მიმდინარეობს მსჯელობა, რომ უნდა შეიქმნას ახალი კონცეფცია. ეს არის საჭირო, მაგრამ ჯერ მხოლოდ იდეის დამუშავება ხდება. არის სხვადასხვა კონცეფცია. თავდაცვის სამინისტრო შეჯერდა ერთი ერთზე და ახლა ხდება მისი განხილვა ჯერ ექსპერტების დონეზე, ასევე ხდება მისი გაცნობა პარლამენტში შესაბამისი კომიტეტისთვის.

– განსაზღვრულია სამი ტიპის რეზერვი: შეიარაღებული ძალების რეზერვი, ტერიტორიული რეზერვი და სპეციალისტთა რეზერვი. რას გულისხმობს თითოეული?

– შეიარაღებული ძალების რეზერვი უშუალოდ საბრძოლო მოქმედებებში კონკრეტულ ბრიგადას, ბატალიონს, ასეულსა თუ ოცეულს უნდა დაეხმაროს, ომის დროს დანაკლისი შეავსოს, დაღუპულებისა თუ დაჭრილების სახით არსებული დანაკლისი. ეს რეზერვი ბატალიონთან ერთად გადის უშუალოდ მომზადებას.

ტერიტორიული რეზერვი თავის საცხოვრებელ ტერიტორიაზე მოქმედებს. ისინი უკეთესად იცნობენ მათ საცხოვრებელ არეალს და არმიას ეხმარებიან, მაგალითად, ტვირთების გადატანაში, მეგზურად გაყოლასა და მსგავს საქმეში.

სპეციალისტთა რეზერვი არმიას სჭირდება კონკრეტული მიმართულებით, სპეციალობით, მაგალითად, გვირაბის, ხიდის, წყლის სპეციალისტები, თუნდაც გვირაბის ან ხიდის აფეთქების დროს ან წყლის გაწმენდისთვის და ა.შ. ეს ადამიანები კონკრეტულ მომენტში არიან საჭირო.

– ნატოს ქვეყნების სტანდარტი რეზერვთან დაკავშირებით როგორია?

– ასეთი სტანდარტი არ არსებობს. ყველა ქვეყანა თავისი რეალობიდან გამომდინარე უნდა მოქმედებდეს და ირგებდეს არსებულ რესურსს.

– საუბარია ბიუჯეტზე. როგორც ვიცით, ანაზღაურებადი იქნება. რეზერვი, ზოგადად, იაფი სიამოვნება არ არის.

– ქვეყნის თავდაცვა არასდროს არის იაფი სიამოვნება. როგორც ამბობენ, თუ შენს არმიას არ გადაუხდი, სხვისი არმიისთვის მოგიწევს გადახდა. კეთილი უნდა ვინებოთ და მოვძებნოთ ყველა შესაძლებლობა, რათა სათანადო დონის რეზერვი შევქმნათ.

– კონცეფციის ერთ-ერთი ავტორი, ბატონი თავდგირიძე ამბობს, რომ რეზერვი ნებაყოფლობითი და ანაზღაურებადი იქნება. ეთანხმებით?

– ჩემთვის მაინც მთავარია მოტივი, რომ ადამიანი წავიდეს რეზერვში. მოტივაცია ანაზღაურებით გაჩნდება თუ სხვა რამით, ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს, თუმცა, როგორი იქნება ანაზღაურება, რამდენად შეძლებს ამას ქვეყნის ბიუჯეტი, ეს მეორე საკითხია.

– კონცეფციაში ასაკზეც არის საუბარი – 18-დან 55-წლამდე. ეს არის სტანდარტი?

– სტანდარტი არ არსებობს. ყველა ქვეყანა თავისებურად განსაზღვრავს. მთავარია, ადამიანი ბრძოლისუნარიანი იყოს.

– ყველას ახსოვს, 2008 წლის ომის დროს რეზერვი როგორ იდგა გორის ცენტრში და როგორ გადიოდა პირდაპირ ეთერში ეს კადრები. ალბათ, ამ მიმართულებითაც არის საჭირო მომზადება.

– ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. ღია ეთერში გადაიცემოდა არა მხოლოდ რეზერვის შეკრება, ასევე – ქართული ტანკების ცხინვალის მიმართულებით გადაადგილებაც. ეს უნდა მოეკითხოთ იმ ტელევიზიებს, რომლებიც ამას აკეთებდა. რამდენად იყო ეს თავსებადი ჟურნალისტურ ეთიკასთან, უფრო მეტიც, სახელმწიფო საიდუმლოების დაცვასთან.

– თქვენ ინტერვიუს დასაწყისში პიარი ახსენეთ, ფორმალური სახე რომ არ ჰქონდეს ამ ყველაფერს და რეზერვი რეალურად რომ მომზადდეს, ამისთვის რა უნდა გაკეთდეს?

– შეკრებას რაც შეეხება გორის ცენტრსა თუ სენაკში, შეკრების გარეშე არ გამოვა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ საათობით უნდა იდგნენ ერთ ადგილზე. შეიკრიბებიან და დავალება უნდა მიიღონ. გორშიც და სენაკშიც პრობლემა სწორედ ეს იყო, არ იყვნენ დავალების გამცემი პირები. ეს სისტემა არ იყო ჩამოყალიბებული. ამიტომ მნიშვნელოვანია, ყველაფერი რეალურად გააზრებული და ჩამოყალიბებული იყოს.

დავით რაქვიაშვილი: „თუ ვლადიმირ პუტინს ახლა ვერ შევაჩერებთ, მერე მისი შეჩერება უკვე შეუძლებელი იქნება“

ინტერვიუში, რომელიც საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანს დავით რაქვიაშვილს პოლონური საინფორმაციო სააგენტოს ჟურნალისტმა ლუკას ოსინსკიმ ჩამოართვა, საუბარია რუსეთის აგრესიულ პოლიტიკაზე, იმ საფრთხეებზე, რომელიც საქართველოს ჩრდილოელი მეზობლისაგან ემუქრება.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ ინტერვიუს ქართულენოვან რეზიუმეს:

ალექსანდრე რაქვიაშვილი ვარშავაში თავისი კოლეგის – პოლონეთის ეროვნული უსაფრთხოების ბიუროს ხელმძღვანელის პაველ სოლოხის მიწვევით იმყოფებოდა. მათ ისაუბრეს იმ საშიშროებებზე, რომლებიც პოლონეთს და საქართველოს ეხება. იმსჯელეს აგრეთვე საქართველოს ლტოლვაზე ნატოში გაწევრიანების მიზნით და იმ დახმარებაზე, რომელსაც პოლონეთის მთავრობა უწევს საქართველოს.

მისი თქმით, თუ ვლადიმირ პუტინს ახლა ვერ შევაჩერებთ, მერე მისი შეჩერება უკვე შეუძლებელი იქნება.

მან მოუწოდა დასავლელ პარტნიორებს, ზეწოლა მოახდინონ რუსეთზე და მოსკოვი აიძულონ გავიდეს საქართველოდან (აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთიდან) და უკრაინიდან (ყირიმ-დონბასიდან).

– საქართველოში რუსეთის აგრესია კვლავ გრძელდება, ხოლო სიტუაცია ოკუპირებულ რეგიონებში – აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში უარესდება.. რუსების იქ ყოფნა რეგიონის ეკონომიკას არანაირად არ ავითარებს. აფხაზეთში რუსები ადგილობრივ ქართველ მოსახლეობას ოკუპირებული ტერიტორიიდან გადმოსვლას უკრძალავენ და აუქმებენ ე.წ. საკონტროლო პუნქტებს, რაც ჰუმანიტარულ მდგომარეობას გაუსაძლისს ხდის. უფრო ცუდი მდგომარეობაა სამხრეთ ოსეთში, – განაცხადა ინტერვიუში ალექსანდრე რაქვიაშვილმა,

მისივე თქმით, ეს პირველი მოქმედება არ არის, რომელსაც მოსკოვი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ ახორციელებს.

– უფრო ადრე რუსეთმა ე.წ. ხელშეკრულებები გააფორმა სოხუმელ და ცხინვალელ სეპარატისტებთან, რომელიც მათი ცხოვრების თითქმის ყველა ასპექტს ეხება – საზოგადოებრივს, ეკონომიკურს, სამხედროს, განათლებას... რუსეთის მიერ გადადგმული ყველა ნაბიჯი იმას ემსახურება, რომ რაც შეიძლება საეჭვო გახადოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და დამოუკიდებლობა.

რუსეთის მოქმედება მხოლოდ საქართველოს არ ეხება. მოსკოვის ნაბიჯები დასავლური სამყაროს წინააღმდეგაცაა მიმართული: „როგორც გვინდა, ჩვენ ისე ვაკეთებთ. მსოფლიო წესრიგს ყურადღებას არ ვაქცევთ, არ გვეხება არანაირი საერთაშორისო პრინციპები“ – ასეთია რუსეთის პოლიტიკის არსი. ასეთი მოქმედება მსოფლიოს აბუჩად აგდებაა, – ამბობს ალექსანდრე რაქვიაშვილი ინტერვიუში.

– ევროპა დიდი ხნის განმავლობაში რუსებს წინააღმდეგობას არ უწევდა. ამით მოსკოვი კარგად სარგებლობდა. დადგა დრო, რომ დასავლეთმა ვლადიმირ პუტინი შეაჩეროს. ჩვენ სერიოზული საფრთხე გველოდება რუსეთის მხრიდან.... კარგია, რომ ევროპული დედაქალაქები რუსეთს ნელ-ნელა რევანშისტულ ძალად აღიქვამენ, რომელიც მსოფლიო წესრიგის დარღვევას ცდილობს. 2008 წელს, როცა ჩვენ რუსეთი თავს დაგვესხა, საქართველო ყველას აფრთხილებდა, რომ რუსეთი არ გაჩერდებოდა, თუმცა ევროპელებმა ჩვენი ნათქვამი, პრინციპში, აინუნშიაც არ ჩააგდეს.

ჩვენ ასევე ვამბობთ იმასაც, რომ გაჭირვების დროს ევროპა მაინც გვერდით დაგვიდგა. დიდად მადლობლები ვართ ამერიკელი და ევროპელი მეგობრებისა, რომლებიც საქართველოს სუვერენიტეტის დასაცავად გამოვიდნენ. საქართველო არსებობს და ეს ჩვენი მეგობრების დიდი დამსახურებაა, განსაკუთრებით ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებისა. აქ, პოლონეთის დედაქალაქში იყო ერთი ძალიან გაბედული და მამაცი ადამიანი, რომელიც საქართველოში ჩამოფრინდა და სხვა პრეზიდენტებიც ჩამოიყვანა. უმძიმეს დროს ისინი ჩვენ გვერდით დაგვიდგნენ. არასოდეს არ დავივიწყებთ იმ დახმარებას, რომელიც პოლონეთმა და პოლონელებმა გაგვიწიეს. მადლობას გიხდით მხარდაჭერისათვის, – ამბობს ინტერვიუში საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი.

ამ სიტყვების წარმოთქმისას მას მხედველობაში ჰყავს პოლონეთის იმდროინდელი პრეზიდენტი ლეხ კაჩინსკი, რომელიც 2010 წელს, რუსეთში, სმოლენსკთან ავიაკატასტროფაში დაიღუპა.

– ის, რაც უნდა გაკეთდეს, ჩვენი აზრით, შემდეგში გამოიხატება – ერთობლივი, მკაცრი და ძლიერი განცხადება, რომელსაც პრაქტიკული ნაბიჯები უნდა მოჰყვეს. ამ მოქმედების მიზანი უნდა იყოს რუსეთის გაფრთხილება, რომ მოსკოვმა აგრესია აღარ გააგრძელოს, რომ რუსეთი გავიდეს საქართველოსა და უკრაინის ტერიტორიებიდან, – ასეთ რეზიუმეს აკეთებს ინტერვიუს დასასრულს ალექსანდრე რაქვიაშვილი.

ნიუსპრესი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი redaktori – სოსო გოგინაშვილი
redaktori – ლალი ასლანიშვილი
redaktoris moadgile – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
redaktoraში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. redaktoris თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ანქვაბმა არჩევნები მოიგო, შამბამ წააგო

მარიამ მჭედლიშვილი

26 მარტს ანექსირებულ აფხაზეთში საპარლამენტო არჩევნების მეორე ტური იმართება. პირველი ტურის შედეგად 12 გამარჯვებული გამოვლინდა. 22 ოლქში მეორე ტურია დანიშნული, ეთაში კი 14 მაისს განმეორებითი არჩევნები ჩატარდება.



ანექსირებულ აფხაზეთში არჩევნების მეორე ტური იმართება

მეექვსე მოწვევის 35-კაციანი პარლამენტის დეპუტატის მანდატი უკვე მოიპოვა აფხაზეთის ექსპრეზიდენტმა და ექსპრემიერმა ალექსანდრე ანქვაბმა. იმ კანდიდატებს შორის, რომლებიც საინიციატივო ჯგუფებმა და პარტიებმა წარმოადგინეს, ბევრი ანქვაბის მომხრეა. გამარჯვებულების ნახევარზე მეტი მისი მიმდევარია.

ანქვაბის პოლიტიკაში დაბრუნება პრობლემებს უქმნის დე ფაქტო პრეზიდენტ რაულ ხაჯიმბას. ტყვარჩელის მოსახლეობასთან შეხვედრისას ხაჯიმბამ ეს აღიარა.

მან აღნიშნა, რომ ხალხისგან საყვედურები მიიღო იმის გამო, რომ ანქვაბი დააბრუნა. ხაჯიმბას თქმით, ის სხვანაირად ვერ მოიქცეოდა.

– ჩვენ ვერ ავაწყვეთ პოლიტიკური ურთიერთობები, მაგრამ ანქვაბი ისეთივე მოქალაქეა, როგორიც ჩვენ. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, როგორ ვიმუშავებთ და მოვიქცევით. თუ ეს ქვეყნისა და ხალხისთვის მოხდება, ის იმუშავებს, მაგრამ, თუ ადრინდელივით არეულობას გამოიწვევს, მაშინ, კანონი ყველას პასუხს მოსთხოვს, ანქვაბი იქნება ეს თუ ხაჯიმბა. ამას არც ხალხი მოითმენს, – აღნიშნა საოკუპაციო რეჟიმის ხელმძღვანელმა.

ხაჯიმბას შეფასებით, ბოლო დროს აფხაზეთში პოლიტიკური აქტიურობა და ბარიკადებია და მოვიდა დრო, ყველა დაწყნარდეს.

– დეპუტატად უნდა წახვიდე იმისთვის, რომ იმუშაო და არა იმ მიზნით, რომ ერთმანეთი მოვწამლოთ, – აცხადებს იგი.

არსებული ინფორმაციით, ხაჯიმბა საკუთარი მომხრეების პარლამენტში გასაყვანად ფულს არ იშურებს და მათ მხარდასაჭერად 27 მილიონი რუბლი გამოყო. დე ფაქტო პრეზიდენტმა ეს ინფორმაცია კატეგორიულად უარყო.

გამართლდა პროგნოზი, რომ მაჟორიტარული არჩევნების სპეციფიკურობისა და ადგილობრივი ტრადიციების მიზეზით ზოგ ოლქში ვერ გაიმარჯვებდნენ ცნობილი პოლიტიკოსები.

როგორც ჩანს, ამ კატეგორიაში მოხვდა ცნობილი პოლიტიკოსი და ყოფილი მაღალჩინოსანი, ედინაია აბხაზიას ლიდერი სერგეი შამბა. იგი სოხუმის ერთ-ერთ ოლქში იყრიდა კენჭს. მან უარყო ხმები იმის შესახებ, თითქოს 14 მაისს მონაწილეობს განმეორებით არჩევნებში გუდაუთის ოლქში. შამბამ აღნიშნა, რომ არჩევნებს პირველი ტურის შემდეგ ჩამოსცილდა. გუდაუთაში 14 მაისს ერთმანეთს უპირისპირდებიან ექსპრემიერი ლეონიდ ლაკერბაია და მე-5 მოწვევის დეპუტატი ლეონიდ ჭამაგუა.

მეორე ტურის წინ აფხაზეთში კრიმინალი გახშირდა. ავტომობილი დაუწვეს დეპუტატობის კანდიდატ ბატალ აიბას. თავდაპირველი ინფორმაციით, დაცხრილეს კანდიდატ კახა პერტაიას მანქანა. დაზუსტებული მონაცემებით, მისი ავტომობილი არ დაზიანებულა, თავდამსხმელებმა ჰაერში ისროლეს. ამ დღეებში კიდევ ერთი ფაქტი მოხდა – დაუდგენელმა პირებმა ცეცხლი წაუკიდეს მოსამართლე თემურ შონიას მანქანას.

ჟურნალისტი ინალ ხაშიგი დეპუტატობის კანდიდატებთან დაკავშირებულ ინციდენტებს კონკრეტულ პიროვნებებს არ უკავშირებს:

– ვიღაცას სჭირდება ინციდენტები, რომლებსაც ყურადღებას მიაქცევენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. ეს სიტუაციები პირდაპირ არ არის დაკავშირებული კონკრეტულ კანდიდატებთან. გარკვეულ ძალებს უნდათ, გამოიწვიონ საინფორმაციო რეზონანსი და შექმნან შთაბეჭდილება, თითქოს აფხაზეთში საარჩევნო ციებცხელებაა და არჩევნებს კრიმინალური ელფერი აქვს.

მისივე აზრით, მოსამართლე თემურ შონიასთან დაკავშირებული ინციდენტი სულ სხვა მოვლენაა – თემურ შონია ყველაზე პრინციპული მოსამართლეა და მას დამნაშავეები ებრძვიან.

მეორე ტურში მოსახლეობის დაბალ აქტივობას მოელიან, თუმცა ამის გამო არჩევნები ჩაშლილად არ გამოცხადდება, ვინაიდან მეორე ტურში ზღვარი დაწესებული არ არის.

საერთაშორისო ორგანიზაციები ანექსირებულ აფხაზეთში ჩატარებული არცერთი არჩევნების შედეგებს არ აღიარებენ.

ირაკლი სესიაშვილი: „მარგველაშვილს პასუხისმგებლობის აღება არ სურს“

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი „ნიუპოსტთან“ აცხადებს, რომ პრეზიდენტი მარგველაშვილი არის „ლიდერი, რომელსაც პასუხისმგებლობის აღება არ სურს და მხოლოდ დამრიგებლური ტონით გამოდის“.

რაც შეეხება უმრავლესობის დეპუტატებისა და პრეზიდენტის ინსტიტუტს შორის არსებულ ურთიერთკრიტიკას, მმართველი პარტიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ „ეს დემოკრატიული პროცესია“.

– ეს დემოკრატიული პროცესია და სიმართლე გითხრათ, მომწონს ეს ყველაფერი, რადგან ეს არის დემოკრატიული პროცესების რეალობა და არა ის, რომ ხელოვნურად ზონდირებულები ვიყოთ, როგორც ეს წინა ხელისუფლების დროს ხდებოდა. ხელისუფლების ძალაუფლებებს შორის ერთ კრიტიკას ვერ გაიგებდით.

რაც შეეხება პრეზიდენტის მიერ ვეტოს გამოყენებას, მე ვთქვი და გავიმეორებ, რომ სამწუხაროდ, პრეზიდენტი პოლიტიკურ ქარს არის აყოლილი და ქარი საითაც დაუბერავს, იმ დროს გამოიყენებს ვეტოს, დააფიქსირებს თავის კრიტიკას. ამ პროცესში მას (პრეზიდენტს) ვხედავ ლიდერს, რომელსაც პასუხისმგებლობის აღება არ სურს და მხოლოდ დამრიგებლური ტონით გამოდის, – განაცხადა ირაკლი სესიაშვილმა.

უმრავლესობის დეპუტატი აღნიშნავს, რომ ქვეყნის პირველი პირი ქვეყნის უსაფრთხოების საკითხებზე სახელმწიფო უწყებების პოზიციებით არ ინტერესდება და მხოლოდ „არასამთავრობოებსა და ოპოზიციის წარმომადგენლებს ხვდება“.

„ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა ჩვენთან საუბრისას პრეზიდენტის ადმინისტრაციის წევრებიც გააკრიტიკა და აღნიშნა, რომ მათი განცხადებები არაეთიკურია.

– პრეზიდენტი, როგორც უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელი, რომელიც გარკვეულწილად პასუხისმგებელია ქვეყნის უსაფრთხოებაზე, ვფიქრობ, მინიმუმ სახელმწიფო უწყებების პოზიციებს უნდა გაეცნოს. მე დავინახე, რომ პოზიციების გაცნობის ნაცვლად ის უფრო მეტს უსმენს არასამთავრობო სექტორს და ოპოზიციას. კანონპროექტის ერთ-ერთი ავტორი მე ვიყავი და იმის ნაცვლად, რომ ჩვენ შეგვხვედროდა და დაინტერესებულიყო, რატომ ავირჩიეთ ეს მოდელი, ადგა და ვეტო ისე გამოიყენა, რომ შეხვდა არასამთავრობოებსა და ოპოზიციას. ეს ადამიანები მეტნაკლებად დაინტერესებულ მხარეს წარმოადგენენ. უსაფრთხოებაზე კი პასუხისმგებლობა აქვს ხელისუფლებას, უმრავლესობას. პრეზიდენტი მე თუ არ მომისმენს, რომელიც მართავს ქვეყანას... ვერ მივიღებ ისეთ მიდგომებს – მეხუთე ეშელონი, ვერც პრეზიდენტის ადმინისტრაციის საჯარო მოხელეებისგან არაეთიკურ მიდგომებს. გაგიგიათ, პარლამენტის ადმინისტრაციის უფროსს პრეზიდენტი გაუკრიტიკებია?– განმარტა სესიაშვილმა.

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ პრეზიდენტი და მისი ადმინისტრაცია თავისი განცხადებებით თვითონ ახდენენ პრეზიდენტის ინსტიტუტის დისკრედიტაციას.

– თუ პრეზიდენტს ჰგონია, რომ ვიღაცა გიორგი მარგველაშვილს ებრძვის, ეს არის სრული აბსურდი. თუ ვინმეს ჰქონია, რომ პრეზიდენტის ინსტიტუტს ვებრძვით, ესეც სრული აბსურდია. ხანდახან მეჩვენება, რომ თავისი განცხადებით და ადმინისტრაციის მოხელეების განცხადებებით უფრო ხდება პრეზიდენტის ინსტიტუტის დისკრედიტაცია, ვიდრე ჩვენი თუნდაც პოლიტიკური კრიტიკით, – აღნიშნა მან.

მმართველი პარტიის წევრმა განაცხადა, რომ პრეზიდენტი ფაქტობრივად საპარლამენტო მოდელს ეწინააღმდეგება. სესიაშვილი ამბობს, რომ მას მარგველაშვილისგან მეტი მოლოდინები ჰქონდა.

– გიორგი მარგველაშვილს დიდი ხანია ვიცნობ. დიდი მოლოდინი მქონდა, რომ ის იქნებოდა ის პრეზიდენტი, რომელიც მსოფლიოში მიმდინარე ძალიან სწორ დემოკრატიულ პროცესში, რაც ჩვენი ქვეყნის საპარლამენტო გადაქცევას გულისხმობს, ექნებოდა ჯანსაღი პოლიტიკური პოზიცია. იქნებოდა ის პრეზიდენტი, რომელიც საპრეზიდენტო ინსტიტუტს კი არ ჩაებღაუჭებოდა, არამედ იტყოდა, რომ მე ვარ პრეზიდენტი, მაგრამ ვთვლი, რომ საპარლამენტო რესპუბლიკაში პრეზიდენტი კი არ უნდა აირჩიონ, არამედ უნდა დაამტკიცონ. ეს იქნებოდა სწორი მიდგომა. თუმცა ის (მარგველაშვილი) ისე ჩაეჭიდა პრეზიდენტის არჩევას, რომ ფაქტობრივად საპარლამენტო რესპუბლიკის იდეას ეწინააღმდეგება – განაცხადა სესიაშვილმა.

ნიუპოსტი

ყარამანაშვილები რუსთავი 2-ის თანამშრომლებს ტელეკომპანია საქართველოს 51%-ს აძლევენ — „გაუგებარია, რას გვედავებოდა ნიკა გვარამია“

ტელეკომპანია რუსთავი 2-ის წილის 91% -ის მფლობელები ლევან და გია ყარამანიშვილები რუსთავი 2-ის თანამშრომელთა შეთავაზებას პასუხობენ.

როგორც მფლობელების განცხადებაშია აღნიშნული, ისინი მზადყოფნას გამოთქვამენ, რუსთავი 2-ის აქციათა საკონტროლო პაკეტის, 51%-ის მფლობელი შ.პ.ს. ტელეკომპანია საქართველოს აქციების საკონტროლო პაკეტი, 51% რუსთავი 2-ის თანამშრომლებს გადასცენ.

ყარამანაშვილები გაკვირვებას გამოთქვამენ, რომ მათი შეთავაზების პასუხად რუსთავი 2-სგან ულტიმატუმი მიიღეს.

– ჩვენი ინიციატივა იყო რუსთავი 2-ის მთელი კოლექტივისთვის ტელეკომპანიაში ჩვენი წილების უსასყიდლოდ გადაცემა. გაკვირვებული ვართ, რომ ამ შეთავაზების პასუხად მივიღეთ ერთგვარი ულტიმატუმი, რომ გადაგვეცა არა შეთავაზებული 40%, არამედ ტელეკომპანიის საკონტროლო პაკეტი, ისიც, როგორც ჩანს, მხოლოდ კოლექტივის ერთი ნაწილისთვის, – ნათქვამია ძმების განცხადებაში.

ყარამანაშვილების თქმით, მათი გუშინდელი ინიციატივა არის არა ფიქცია, როგორც ეს ბრიფინგზე ითქვა, არამედ რეალური გზა იმისკენ, რომ ყველა თანამშრომელმა დამსახურებულად მიიღოს კონკრეტული ფინანსური სარგებელი, როგორც კი ტელეკომპანია გავა მოგებაზე, რისი ყველა წინაპირობა არსებობს ივანიშვილის მხრიდან ტელეკომპანიის დევნის შეწყვეტის შემდეგ.

– გაუგებარია, თუ რას გულისხმობდა გენერალური დირექტორი, როცა საუბრობდა იმაზე, რომ ჩვენი შეთავაზება პრაქტიკულად არ ცვლის საქმის ვითარებას. რის შეცვლაზეა საუბარი? ჩვენ არასდროს ჩავრეულვართ ტელეკომპანიის სარედაქციო პოლიტიკაში, რომელსაც ყოველთვის თავად მენეჯმენტი და ჟურნალისტები განსაზღვრავდნენ. ეს ასე იქნება მომავალშიც, – აცხადებენ ძმები ყარამანაშვილები.

ისინი ადასტურებენ, რომ მზად არიან, რუსთავი 2-ის კოლექტივს გადასცენ 51% ტელეკომპანია „საქართველოში“, რომელიც თავის მხრივ არის რუსთავი 2-ის 51%-ის მესაკუთრე.

– ეს ნიშნავს, რომ ტელეკომპანიის მართვა მთლიანად კოლექტივის ხელში გადავა. გთავაზობთ, ამით დასრულდეს ამ თემაზე საჯარო დისკუსია და გადავიდეთ კონსულტაციების საქმიან რეჟიმში, როგორც ჩვენს თავდაპირველ განცხადებაში იყო შემოთავაზებული, რათა წილები გუნდის წარმომადგენლებს გადაუნაწილდეთ ღიად და სამართლიანად, – ნათქვამია განცხადებაში.

ნარმანია: „11 აპრილს გავცემ ყველა კითხვას პასუხს“

11 აპრილის საკრებულოს სხდომაზე თბილისის მერი წლიური ანგარიშით წარდგება. დავით ნარმანიას თქმით, ის აპირებს, რომ პასუხი გასცეს დეპუტატების მიერ დასმულ ყველა შეკითხვას, მათ შორის მოსამართლე ნაზღაიძის ოჯახისთვის გადაცემულ ქონებაზე:

– 11 აპრილს საკრებულოს წინაშე წლიური ანგარიშით წარვდგები. ასევე, ვისაუბრებ 2017 წლის გეგმებზე, იმ პროექტებსა და პროგრამებზე, რომელსაც ჩვენ უკვე ვახორციელებთ და ასევე გავცემ ყველა იმ კითხვას პასუხს, რაც შესაძლოა აინტერესებდეთ საკრებულოს დეპუტატებს, – განაცხადა დავით ნარმანიამ.

პირველი რადიო

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

შორენა მარსაგიშვილი

„რა მნიშვნელობა აქვს, სად დაიმარხები, პანთეონში თუ ჟორას ბოსტანში“

ქვეყანაში, სადაც რამდენიმე ათეული ათასი ადამიანი შიმშილობს, საპანთეონო ციებ-ცხელებაა ატეხილი. ახალი პანთეონი მახათას მთაზე წლის ბოლოსთვის გაიხსნება.

დედაქალაქის მერიის განმარტებით, საზოგადო მოღვაწეებისთვის ახალი პანთეონის მოსაწყობად 1,3 მილიონი ლარი გამოიყო.

ახალი პანთეონისთვის გამოყოფილია თითქმის 2 ჰექტარი მიწის ფართობი. პირველ ეტაპზე იქ 200 ადგილი მოეწყობა.

სამუშაოები მას შემდეგ დაიწყება, რაც მერია ტენდერს გამოაცხადებს. ტენდერის გამოცხადებამდე ჯერაც გაუხსნელ პანთეონზე პრეტენზიები გამოთქვა პოტენციურმა საპანთეონე ხალხმა.

მედიასთან საუბარში ისინი ღიად ამბობენ, რომ ადგილი არ მოსწონთ. მახათას მთა თბილისიდან მოშორებითაა. მერიაში იმასაც ამბობენ, რომ ადამიანების ნაწილი წინასწარ იბეჭდებს ადგილებს ახალ პანთეონში. რამდენიმემ თანამეცხედრისთვისაც მოინდომა ადგილის გამოყოფა.

საპანთეონო ვნებებმა საზოგადოებაში უარყოფითი რეაქციები გამოიწვია. პოეტი ჯანსუღ ჩარკვიანი მიიჩნევს, რომ ამ ვითარებაში ახალი პანთეონისთვის ამდენი ფულის დახარჯვა მიუღებელია.

– რა დროს ახალი პანთეონია, როცა ხალხს შია? ეს ფული მათ დაურიგეთ, – ამბობს ჩარკვიანი.

სხვა ცნობადი სახეები ასე არ ფიქრობენ და ბევრი მათგანი მიიჩნევს, რომ მათი ადგილი სწორედ საზოგადო მოღვაწეთა პანთეონშია.

დედაქალაქის მერიაში განმარტავენ, რომ ახალ პანთეონში ცნობადი სახის დაკრძალვის საკითხი საპატრიარქოსთან შეთანხმებით გადაწყდება.

სამოქალაქო პლატფორმა „ახალი საქართველოს“ წევრ ანა კობახიძეს იმის გარკვევა სურს, თუ ვინ ადგენს საპანთეონე ხალხის სიას. მას ასევე აინტერესებს, როგორ ხდება საზოგადო მოღვაწის სტატუსის მინიჭება.

– რა კრიტერიუმებია დადგენილი პანთეონში დასამარხი ადამიანების სიაში მოსახვედრად, ან როგორ ხდება ადამიანებისთვის საზოგადო მოღვაწის სტატუსის მინიჭება? უხერხულია, როცა ადამიანებს სიკვდილამდე ანიჭებენ ამ სტატუსს და მათ წინასწარ იციან, რომ პანთეონში დაიმარხებიან, – ამბობს „ახალ თაობასთან“ საუბარში ანა კობახიძე.

მისთვის ასევე წარმოუდგენელია, თუ რატომ დავობენ ცნობილი სახეები, სად იქნება პანთეონი.

– მე არ მესმის, რატომ უნდა იყვნენ ეს ადამიანები გამოსაჩენ ადგილას დამარხული. დავიჯერო, ზეციურ საქართველოში რაიმე მნიშვნელობა ექნება იმას, თუ სად მდებარეობს ამა თუ იმ ადამიანის საფლავი? – კითხულობს ანა კობახიძე.

მისივე თქმით, იმისთვის, რომ ხალხს უყვარდე და ახსოვდე, პანთეონი საჭირო არ არის.

– ჩვენ არც კი ვიცით, სად არის ფიროსმანის საფლავი. ამის მიუხედავად, ყველამ ვიცით, რომ ის დიდი მხატვარია. მთავარია, სიცოცხლეში გააკეთო რაიმე ღირებული და არა ის, სად იქნება ტერიტორიულად შენი საფლავი, – აღნიშნავს „ახალი საქართველოს“ წარმომადგენელი.

საპანთეონე ვნებათაღელვამ ყოფილი დეპუტატი მეგი გოცირიძეც აღაშფოთა.

ის განსაკუთრებით იმით არის აღშფოთებული, რომ პანთეონისკენ ე.წ. წითელი ინტელიგენციის წარმომადგენლები იწევენ.

– ერთი მითხარით, რა მნიშვნელობა აქვს, სად დაკრძალავენ წითელი ინტელიგენციის წარმომადგენლებს. აქაც წითლები იყვნენ და იქაც წითლებად დარჩებიან, – ამბობს „ახალ თაობასთან“ საუბარში აღშფოთებული გოცირიძე.

მისი განცხადებით, სიკვდილი ყველას ათანაბრებს და არ შეიძლება, ვინმე გამორჩეულ ადგილას დაიმარხოს.

– პანთეონის იდეა, ზოგადად, არ მესმის, მაგრამ, თუ მაინც არის პანთეონი, იქ მართლაც გამორჩეული ადამიანები უნდა დაიკრძალონ. წამოდით პეტრე-პავლეს სახელობის სასაფლაოზე და იქ გაჩვენებთ ახალგაზრდების საფლავებს, რომლებიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაიღუპნენ. რატომ უნდა ჰქონდეთ ამ ბიჭებს ჩვეულებრივი საფლავები და წითელ ინტელიგენციას პანთეონი? – კითხულობს ყოფილი დეპუტატი.

მისი აზრით, როცა ათასობით ადამიანი მშიერია 1,3 მილიონი პანთეონის აშენებაზე არ უნდა იხარჯებოდეს.

– იმქვეყნად მაინც არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, ვინ სად იქნება დაკრძალული. ეს წითელი ინტელიგენცია გინდა პანთეონში დამარხე და გინდა ჩემი მეზობელი ჟორას ბოსტანში, დიდი განსხვავება არ არის. ასე რომ, თავი დაანებონ პანთეომანიას და ცოცხალ ადამიანებს მიხედონ, – ამბობს გოცირიძე.

სამართალი

საზოგადოებრივ მაუწყებელს ეკა მიშველაძისთვის 30.000 ლარის კომპენსაციის გადახდა დააკისრა

თბილისის საქალაქო სასამართლომ ჟურნალისტ ეკა მიშველაძის საზოგადოებრივი მაუწყებლიდან გათავისუფლება უკანონოდ ცნო.

როგორც მიშველაძემ „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, სასამართლომ საზოგადოებრივ მაუწყებელს მისთვის კომპენსაციის სახით 30.000 ლარის გადახდა დააკისრა.

– სასამართლომ ძალიან მაგარი გადაწყვეტილება მიიღო. ყველაზე მთავარი, რაც იყო ამ სარჩელში, ეხებოდა იმას, რომ უკანონოდ მოხდა ჩემი გათავისუფლება. ეს აღიარა და ეს დაადგინა სასამართლომ.

შრომითი ხელშეკრულების დარღვევა მოხდა და გადაწყვეტილება იყო უკანონო, რაც სასამართლომ დაადასტურა. არ მოხდება ჩემი აღდგენა, თუმცა მე მივიღებ კომპენსაციას, – განაცხადა მიშველაძემ.

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ეკა მიშველაძე სამსახურიდან 2016 წლის თებერვალში გაათავისუფლა. ეს გადაწყვეტილება მან სასამართლოში გასაჩივრა. მიშველაძის ინტერესებს „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ადვოკატები იცავდნენ.

ინტერპრესნიუსი

ედიშერ ქარჩავა: „ციანიდის საქმეზე მეუფე იაკობი, მეუფე თეოდორე ჭუაძე და მამა მიქაელ ბოტკოველი დაიკითხნენ“

ე.წ. ციანიდის საქმეზე მეუფე იაკობი, მეუფე თეოდორე (ჭუაძე) და მამა მიქაელ ბოტკოველი არიან დაკითხულები. ამის შესახებ „პალიტრანიუსის“ გადაცემაში „360 გრადუსი“ საპატრიარქოს იურისტმა ედიშერ ქარჩავამ განაცხადა.

როგორც მან აღნიშნა, სინოდის წევრების ნაწილი, რომელთაც მამა გიორგი მამალაძესთან მიმართებაში რაიმე ინფორმაცია გააჩნდათ, დაიკითხა.

– სინოდის წევრები, რომლებსაც გარკვეულწილად ინფორმაცია გააჩნდათ ციანიდის საქმეზე და დეკანოზ გიორგი მამალაძესთან მიმართებაში, დაკითხულები არიან. თუ არ ვცდები, დაკითხული უნდა იყოს მეუფე იაკობი, ასევე მამა მიქაელ ბოტკოველი, მეუფე თეოდორე (ჭუაძე). ეკლესია თანამშრომლობს გამოძიებასთან. არ გვაქვს საფუძველი, ეჭვი შევიტანოთ გამოძიებაში და იმ მტკიცებულებებში, რომელიც გავრცელდა, – განაცხადა ედიშერ ქარჩავამ.

საპატრიარქოს იურისტის თქმით, დეკანოზის ადვოკატების მოთხოვნა, წმინდა სინოდის წევრების წინასწარი გამოძიების მსვლელობისას გამოკითხვის თაობაზე, იმ შავ პიარს ემსახურებოდა, რომელიც ეკლესიის მიმართაა აგორებული. მისივე თქმით, 23 მღვდელმთავრის დაკითხვის მოთხოვნა, რომლებსაც მამა გიორგის საქმინობასთან არავითარი შეხება არ ჰქონია, აბსურდულია.

– შავ პიარს ემსახურებიან და იმ წამქეზებლების და იმ ჯგუფის ინტერესებს, ვინც მამა გიორგი მამალაძე შეცდომაში შეიყვანა. თუნდაც იმ უსაფუძვლო, ერთმანეთის გამომრიცხავ ვერსიებს ასწავლიან და ვერ ასწავლეს, ან ვერ ათქმევინეს. ვინ შეიყვანა შეცდომაში, თვითონ მამა გიორგი მამალაძემ კარგად იცის. მე ეს ინფორმაცია და ეჭვი გამაჩნია, – განაცხადა ქარჩავამ.

ინტერპრესნიუსი

ვის შეჰქონდა „იგლა“ საქართველოდან სომხეთის ტერიტორიაზე

საზენიტო-სარაკეტო კომპლექსის „იგლა“-ს საქართველოდან სომხეთის ტერიტორიაზე კონტრაბანდულად გადატანის საქმეზე სომხეთის ეროვნული უსაფრთოების სამსახური სპეციალურ განცხადებას ავრცელებს.

უწყების ინფორმაციით, ამ ეტაპზე აღნიშნულ ფაქტზე წინასწარი საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს. უსაფრთხოების სამსახურის თქმით, საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებთან ერთობლივად დაადგენენ პირველადი მონაცემების ნამდვილობას, რომლის თანახმად, უკანონო საზენიტო-სარაკეტო დანადგარი „იგლა“ სომხეთში, სავარაუდოდ, საქართველოს ტერიტორიის გავლით მოხვდა.

პირველი რადიო

მეუღლის მკვლელობაში ბრალდებულს სასამართლომ 11 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა

თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ნოვრაზ ალიევი დამნაშავედ ცნო მისი მეუღლის – კიუნაი ისაევას განზრახ მკვლელობაში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11'-108-ე მუხლით.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2016 წლის 12 ივლისს, დაახლოებით 23:20 საათზე, ქ.თბილისში, ქვემო ფონიჭალაში, აჭარის ქუჩა 31-ში, ნოვრაზ ალიევმა ეჭვიანობის ნიადაგზე, შურისძიების მოტივით, განზრახ მოკვლის მიზნით, მეუღლეს – კიუნაი ისაევას დანით ჭრილობა მიაყენა ყელის არეში, რის შემდეგაც იგი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა, ხოლო კიუნაი ისაევა მიღებული დაზიანების შედეგად საავადმყოფოში გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ნოვრაზ ალიევი იმავე ღამეს თბილისი-რუსთავის გზატკეცილის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს. მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 11'-108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა, ჩადენილი ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ) წარედგინა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ნოვრაზ ალიევი დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 11 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

ნიუპოსტი

მამაკაცი, რომელიც ნეველის ტაძრის ჭიშკრის შენგრევას ფეხით ცდილობდა, პოლიციამ დააკავა

სავარაუდოდ არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი მამაკაცი, რომელიც მარჯანიშვილზე, ნეველის ტაძართან ფეხით ეკლესიის ეზოში შესასვლელ კარებს ანგრევდა, სამართალდამცავებმა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით (წვრილმანი ხულიგნობა) დააკავეს.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მამაკაცის დაკავება საპატრულო პოლიციაში შესული შეტყობინების და სოციალურ ქსელში გავრცელებული ვიდეო-მასალის საფუძველზე მოხდა. ვანდალიზმში მონაწილე პირი სასამართლოს წინაშეც წარდგა. მოსამართლემ ის 100 ლარით დააჯარიმა.

ნიუპოსტი

პროკურატურა ციანიდის საქმის სასამართლოს არსებითი განხილვის გადადებას ითხოვს

საქართველოს მთავარი პროკურატურა ციანიდის საქმის წინასასამართლო სხდომის გადადებას ითხოვს.

მოცემულ საქმეზე სრულყოფილი და ობიექტური გამოძიების წარმოების მიზნით, ინტენსიურად გრძელდება გამოძიება, დანიშნულია სხვადასხვა სახის ექსპერტიზები, მათ შორის: ბიოლოგიური, ქიმიური, სამედიცინო, ტოქსიკოლოგიური, ჰაბიტოსკოპიური, ფონოსკოპიური და კომპიუტერული ექსპერტიზები, რომლებიც სირთულისა და დიდი მოცულობის გამო ამ ეტაპისათვის დასრულებული არ არის.

– ამასთან, ჩამოთვლილი ექსპერტიზების დასრულებისა და შესაბამისი დასკვნების მიღების შემდეგ, საქმეზე ჩასატარებელია არაერთი შემხვედრი და აუცილებელი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება. ასევე საქმეზე დასაკითხია არაერთი მოწმე. იმის გათვალისწინებით, რომ საქმეზე ჩასატარებელი ამ და სხვა აუცილებელი საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებების ჩატარებისათვის სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადა არ არის საკმარისი, საქართველოს პროკურატურის მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება გიორგი მამალაძის ბრალდების საქმეზე საგამოძიებო და, შესაბამისად, წინასასამართლო სხდომის გონივრული ვადით – ერთი თვით გაგრძელების თაობაზე. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, 2017 წლის 24 მარტს საქართველოს პროკურატურა შუამდგომლობით მიმართავს თბილისის საქალაქო სასამართლოს, საქმეზე განსაზღვრული წინასასამართლო სხდომის ვადის გაგრძელების თაობაზე, – განაცხადეს პროკურატურაში.

პირველი რადიო

„ივანიშვილმა თავის სასახლეში შეასახლოს მთავრობა, უფრო იოლად გააკონტროლებს“

შორენა მარსაგიშვილი

ჰას ნიშნავს გაღატაკებული ქვეყანაში მთავრობისთვის ტომფოჰტული ქალაქის აშენება, ჰა შუაშია ამ ყველაფერთან ყოფილი პრემიერი, ჰატომ გადანყვიტეს გარემოვაჭრეების აყრა და ვის უშლიან ისინი ხელს სინამდვილეში? – ამ თემებზე „ახალ თაობას" დემოკრატიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი ლაშა ჩხარტიშვილი ესაუბრება.

– ხელისუფლებამ პირობა დადო, რომ ქამრებს შემოიჭერდა. ამის ფონზე ცნობილი ხდება, რომ ისინი ახალი სამთავრობო ქალაქის მშენებლობას აპირებენ. ამისთვის ორთაჭალაში საკმაოდ დიდი ტერიტორიაც კი ყოფილა გამოყოფილი. ამაზე რისი თქმა შეგიძლია?

– იმის ნაცვლად, რომ ხელისუფლებამ თავად შემოიჭიროს ქამარი, ხალხს სულ უფრო უჭერს კისერზე ყულფს. თავად ეს იდეა დეჟავიუს განცდას ბადებს – „ქართული ოცნება“ ახირებებით ძალიან დაემსგავსა თავის წინამორბედს და არა მარტო ახირებებით.

ეს ხელისუფლება უკვე აშკარად ემალება ამომრჩეველს და ეტყობა, ამიტომაც გადაწყვიტეს სადმე ერთად მოიყარონ თავი. ამის გარდა, ისინი საკუთარ ფუფუნებაზეც ზრუნავენ და უნდათ, რომ კიდევ უფრო კეთილმოწყობილ კაბინეტებში ისხდნენ.

დალაგებული ქვეყანა რომ ვიყოთ, ამის გაკეთება მაშინაც საეჭვო იქნებოდა, ჩვენს პირობებში კი ახალი სამთავრობო ქალაქის აშენება სრულიად დაუშვებელია. დღეის მონაცემებით, მოსახლეობის 35% შიმშილს განიცდის. სრულფასოვანი კვების პრობლემა კი მასობრივად დგას. ამ რეალობაში რამდენიმე ათეული მილიონის ხარჯვა მთავრობის ფუფუნებაზე, რბილად რომ ვთქვათ, უტიფრობა და უსინდისობაა.

არც იმას გამოვრიცხავ, რომ ეს პროექტი იყოს კეთილდღეობის იმიტაცია. ასეთი რამეები მიხეილ სააკაშვილს ახასიათებდა.

– „ქართული ოცნება“ წინა ხელისუფლებას დღემდე აყვედრის, ქუთაისის პარლამენტის აშენებაზე 300 მილიონზე მეტი დახარჯეთო და ამ ფონზე უხერხული არაა, სამთავრობო ქალაქის იდეას რომ „აპრავებენ“?

– უხერხული კი არა, ცინიზმის მწვერვალია, ხომ გითხარით, ერთმანეთს ძალიან დაემსგავსნენ. მათ შორის ერთადერთი განსხვავება ისაა, რომ ესენი მოსახლეობის წინააღმდეგ მასობრივ ძალადობას არ მიმართავენ, თუმცა ესეც მოსალოდნელია.

– რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?

– ის მმართველობა, რომელიც დღეს საქართველოშია. ამის თქმის საბაბს ხალხის მიმართ დამოკიდებულებაც მაძლევს. არ აღდგა სამართლიანობა, ხელისუფლება თვითნებურად იქცევა, მიმდინარეობს გარემოს განადგურება. ეს დიდხანს ვერ გაგრძელდება. ხელისუფლებას ან უკან დახევა მოუწევს ანდა ხალხის წინააღმდეგ წასვლა, ანუ პოლიტიკური რეპრესიების დაწყება.

სამწუხაროდ, „ოცნება“ მეორე ვარიანტისკენ უფროა მიდრეკილი. სისტემური ცვლილებები არ ჩანს და გეზი კვლავ ერთპიროვნული მმართველობისკენ გვაქვს აღებული. ამ შემთხვევაში ერთპიროვნული მმართველობა სხვა ნაირსახეობაშია გადაზრდილი. მე ვიყავი პირველი, რომელმაც ჯერ კიდევ 2014 წელს უწოდა ივანიშვილს ახალი კადაფი.

– რატომ ახალი კადაფი?

– ქვეყანა კადაფის სტილით იმართება. შესაძლოა, ჩვენ უფრო რთული მოდელიც კი გვქონდეს ქვეყნის მართვისა. ფორმალური სტატუსი ცოტა მეტ პასუხისმგებლობას გულისხმობს. ივანიშვილი კი ზის თავისთვის და ყველაფერს აკონტროლებს. ახალი სამთავრობო ქალაქის აშენებაც მისი იდეაა. მის გარეშე ამ პროექტის დაგეგმვასაც კი ვერ გაბედავდნენ.

– იქნებ ამ შემთხვევაში გამოიჩინეს თვითნებობა?

– გამორიცხულია. ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება თანხმდება ყოფილ პრემიერთან. ივანიშვილს დიდი სასახლე აქვს და ეს მარიონეტული მთავრობა იქ უპრობლემოდ დაეტეოდა. მივმართავ ბიძინა ივანიშვილს, შეასახლოს ესენი თავისთან. მაინც მისი მითითებების გარეშე არ დგამენ ნაბიჯს და ტელეფონზე დარეკვით მაინც არ დაიღლება. არსებულ სიტუაციაში ეს ყველაზე ლოგიკური გადაწყვეტილება იქნება. პრემიერის და მინისტრების მოვალეობების შემსრულებლები ივანიშვილის არაფორმალური მონარქიის ფარეშები არიან.

თანხების არამიზნობრივ ხარჯვას უკავშირდება სამთავრობო ქალაქის მშენებლობა და აქვე აუცილებლად უნდა ვახსენოთ კონცერტების თემაც. კონცერტების გასამართად ათეულობით მილიონი ლარია გამოყოფილი ბიუჯეტიდან.

– ოპოზიციაში ყოფნის დროს მეოცნებეები ასეთი ღონისძიებებისთვისაც აკრიტიკებდნენ სააკაშვილის ხელისუფლებას.

– ეგ აღარ ახსოვთ და უსირცხვილოდ იმეორებენ იგივეს. ძველად რომში იყო აქტუალური პური და სანახაობა. ჩვენში პური ნაკლებია, მაგრამ სანახაობაა მრავლად. არც პოლიტიკური ინტრიგები გვაკლია, ამ ყველაფერს ახლა თვალთვალი და მიყურადებაც დაემატა. ეს უკანონობა დააკანონეს და რაღაც ჩარჩოში მოაქციეს.

კონცერტებში მილიონების გადაყრას ჯობდა, გაჭირვებული ადამიანები დაეფინანსებინათ, რომლებიც სახსრების უქონლობის გამო ექიმთანაც კი ვერ მიდიან. საყოველთაო ჯანდაცვა, რომელიც ერთადერთი ნათელი წერტილი იყო ამ ხელისუფლებისა, ისიც შეიკვეცა.

სოციალური დახმარების ჩამორთმევა ძალიან გამარტივდა. სამაგიეროდ, ძალიან გართულდა ამ სტატუსის მიღება. თან რამხელა უბედურებაა, როცა ადამიანი სოციალურად დაუცველის სტატუსზე ოცნებობს.

ვერაფრით მოაბეს თავი ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, სამაგიეროდ, ხელისუფლებამ შეიძინა თავისთვის ახალი მანქანები. არ იკლებენ მაღალ ხელფასებს, პრემიებს დანამატები დაარქვეს.

ბავშვთა სამყაროს ამბავმა ხელისუფლების ნამდვილი სახე კიდევ ერთხელ გამოაჩინა. ბავშვთა სამყაროს მოვაჭრეების მიმართ შენობის მეპატრონესაც აქვს ვალდებულებები, მაგრამ ეს პროკურატურამ უნდა გაარკვიოს. ხელისუფლება ამას არ აკეთებს. დახმარების გაწევაზე ხომ საერთოდ ზედმეტია ლაპარაკი. არადა ისინი ხელისუფლების მსხვერპლი არიან.

– შენობის დაწვასთან ხელისუფლება რა შუაშია?

– ადგილი, სადაც ისინი მუშაობდნენ, ხანძარმა გაანადგურა. ქვეყანაში სახანძრო უსაფრთხოება ფაქტობრივად არ არსებობს. შრომითი დაცვის ინსპექტორებს არ აქვთ უფლება, შეამოწმონ ესა თუ ის ობიექტი ან ვინმეს სანქცია დააკისრონ სახანძრო უსაფრთხოების ნორმების დაუცველობის გამო. შრომითი ინსპექტორი ქვეყანაში სულ 25-ია. და როგორ წარმოგიდგენიათ, რომ 25 ადამიანი მთელი ქვეყნის მასშტაბით შეამოწმებს, სახანძრო უსაფრთხოების ნორმები დაცულია თუ არა.

– თუ არც არაფრის უფლება აქვთ, რა საჭირო იყო ამ სამსახურის შემოღება?

– ეს არის სიმბოლური გადაწყვეტილება. ეს ევროპასთან ასოცირების შეთანხმებისთვის იყო საჭირო, ესაა და ეს. სახანძრო უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე ხელისუფლებამ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა. ამიტომაც უნდა აიღონ ბავშვთა სამყაროს დაზარალებულებზე პასუხისმგებლობა. ქვეყანაში არის არაერთი სარეზერვო ფონდი. ეს ფონდები სწორედ ასეთი შემთხვევებისთვის არის გათვალისწინებული და არა – ჩინოსნების ფუფუნებისთვის.

არსებულ მძიმე სურათს ახლო მომავალში გარემოვაჭრეების პრობლემაც დაამძიმებს. ხელისუფლება მათ წინააღმდეგ მასშტაბური ოპერაციის დაწყებას გეგმავს. ვაგზლის მოედანზე მოვაჭრეებს უკვე ესაუბრნენ მერიის წარმომადგენლები და უთხრეს, რომ 25 მარტს შეიძლება ისინი აყარონ.

– მარჯანიშვილზე ასეთი ოპერაცია უკვე ჩატარდა, მაგრამ მას დიდი ამბავი არ მოჰყოლია.

–– ამიტომაც გადაწყვიტეს, სხვებსაც მიადგნენ. არის ასეთი ქართული გამოთქმა, მაძღარ კაცს, მშიერიც მაძღარი ეგონაო. ეს გამოთქმა ჩვენი ხელისუფლებისთვისაც აქტუალურია. ისინი ვერ ხვდებიან, რამდენად მნიშვნელოვანია გარემოვაჭრეებისთვის ეს საქმიანობა. ეს მათთვის გადარჩენის ერთადერთი საშუალებაა.

ზევით რამდენჯერმე გითხარით, რომ „ოცნება“ თავის წინამორბედს ემსგავსება და ეს ამაშიც გამოიხატა. გარემოვაჭრეების წინააღმდეგ სააკაშვილის ხელისუფლებამაც გაილაშქრა. მათ ეს ნაწილობრივ გამოუვიდათ. ახლა ესენი დაადგნენ ამ გზას და უნდათ, ადამიანებს პირიდან ბოლო ლუკმა გამოაცალონ. ამით კი ვიღაც იხეირებს.

– ვინ ვიღაც?

– რომელიმე ჩინოვნიკი ან მასთან დაახლოებული ბიზნესმენები. ჩვენ ყველას კარგად გვახსოვს, რომ სააკაშვილის დროს, როგორც კი გარემოვაჭრეები დაარბიეს, იმ ადგილებში, სადაც ისინი ვაჭრობდნენ, სავაჭრო ჯიხურების ქსელი გაჩნდა.

– მერია ამ შემთხვევაში ქალაქის იერსახეზე არ ზრუნავს?

– არავითარ შემთხვევაში. ქალაქის იერსახეზე ზრუნვა რომ უნდოდეთ, უამრავი პრობლემაა და იმას მიხედავდნენ.

– გარევაჭრობის წინააღმდეგ მოსახლეობაც გამოდის და მათაც აქვთ პრეტენზიები. არის ადგილები, სადაც გარემოვაჭრეების გამო ადამიანი ვერ გაივლის.

– გარევაჭრობას ჩარჩოებში სჭირდება მოქცევა. ეს არც ერთმა ხელისუფლებამ შეგნებულად არ გააკეთა. ისინი ბოლო 2 ათწლეულია იმას ამკვიდრებენ, რომ გარევაჭრობა არის მანკიერი მოვლენა. არადა მთელს მსოფლიოში არსებობს ასეთი ტიპის ვაჭრობა, ყველაზე განვითარებულ ქვეყნებშიც კი.

– იქ გარევაჭრობა მოწესრიგებულია.

– აქაც შეიძლება ამის გაკეთება. მერიაში არის ზედამხედველობის და კეთილმოწყობის სამსახური და ამ საკითხის მოგვარებაზე მათ უნდა იზრუნონ. ეს ხალხი კი არ უნდა დაარბიონ, წესების დაცვა უნდა მოსთხოვონ. გარევაჭრობის წესებს კი არ იღებენ.

გარევაჭრობასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ სააკაშვილის დროს მოვამზადე კანონპროექტი. ის გავაგზავნე თბილისის მერიაში და პარლამენტში. საკრებულომ ეს პროექტი არც კი განიხილა და ამით კანონი დაარღვია. პარლამენტმა ეს პროექტი საკრებულოში გადააგზავნა. იქ როგორც მოიქცნენ, უკვე გითხარით.

ამ თემაზე კანონპროექტი „ოცნების“ პარლამენტშიც შევიტანე. 2014 წელს დარგობრივ კომიტეტში მოხდა მისი განხილვა. კომიტეტმა კანონპროექტი მთლიანობაში მოიწონა. დეპუტატებს რამდენიმე შენიშვნა ჰქონდათ, რომელთა შეჯერებაც დაევალა დეპუტატ გია ჟორჟოლიანს. მე და გიას ამ საკითხზე რამდენჯერმე გვქონდა საქმიანი შეხვედრა.

ამის იქით საქმე აღარ წასულა და კანონპროექტი გაიყინა. ამან გამიჩინა ეჭვი, რომ ხელისუფლება გარემოვაჭრეების წინააღმდეგ ბრძოლას გააგრძელებდა. ეს ეჭვი გამართლდა. კანონი გარევაჭრობას არ კრძალავს.

– აბა რის საფუძველზე უნდა აყარონ ისინი?

– კანონში წერია, რომ ნებართვის გარეშე იკრძალება გარევაჭრობა. გარევაჭრობაზე ნებართვები არ გაიცემა. ხელისუფლებას ძალიან მარტივად შეუძლია ამ პრობლემის მოგვარება. გარემოვაჭრეები მზად არიან, დაწესებული ნორმები დააკმაყოფილონ. მთავრობის უარი მიუთითებს იმაზე, რომ ვიღაცას ისინი სერიოზულ კონკურენციას უწევენ.

25 მარტს ვაგზლის მოედანზე გარემოვაჭრეების მხარდასაჭერად გავმართავთ აქციას. მოვუწოდებ ყველას, რომ ამ აქციაზე მოვიდეს. თუ ხელისუფლება გარემოვაჭრეებს მოერია, ხვალ სხვებს დაჩაგრავს. გარემოვაჭრეების შემდეგ ისინი წვრილ მაღაზიებს მიადგებიან, მათ ადგილზე კი დიდი სავაჭრო ცენტრები გაიხსნება, სადაც მაღალი ფასები იქნება. გარევაჭრობა ფასების მხრივ სერიოზული კონკურენტია. ამიტომ მათი დაცვა ყველას ინტერესებში უნდა იყოს.

გარევაჭრობა მოსაწესრიგებელია, მაგრამ მისი აკრძალვა დაუშვებელია. თუნდაც იმიტომ, რომ ეს ამ ადამიანებისთვის თავის გადარჩენის ერთადერთი საშუალებაა.

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უანლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

გალარების ერთჯერადი პროგრამით 80 მილიონ აშშ დოლარამდე სესხი გალარდა

გალარების ერთჯერადი პროგრამით დაახლოებით 80 მლნ აშშ დოლარამდე (78.659.017 აშშ დოლარი) 5.617 საბანკო სესხი გალარდა.

პროგრამა, რომელიც საქართველოს მთავრობამ ეროვნული ბანკის მხარდაჭერით განახორციელა, 17 იანვარს დაიწყო. ორი თვის განმავლობაში საქართველოს მოქალაქეებს, რომელთაც პროგრამა შეეხოთ, შესაძლებლობა ჰქონდათ, ნებისმიერი კომერციული ბანკისთვის მიემართათ და შეღავათიანი პირობებით გაელარებინათ უცხოური ვალუტით დენომინირებული საბანკო სესხი.

პროგრამის ფარგლებში მსესხებელი გათავისუფლებული იყო დამატებული ხარჯებისგან, მათ შორის წინასწარ დაფარვის საკომისიოსა და ქონების რეგისტრაციის მოსაკრებლისგან. პროგრამის შედეგად დაკონვერტირდა გალარებას დაქვემდებარებული სესხების მთლიანი რაოდენობის 25 პროცენტი.

ეროვნული ბანკის ცნობით, გალარების პროგრამის მთავარი მიზანი მომხმარებლისათვის აშშ დოლარით დენომინირებული სესხის მომსახურების ტვირთის შემსუბუქება იყო, რომელიც ზრდაც აშშ დოლარის გამყარებამ განაპირობა. ლარით დენომინირებული სესხი უზრუნველყოფს სესხის მომსახურების ხარჯების სტაბილურობასა და პროგნოზირებადობას.

– პირდაპირი სარგებლის გარდა, გალარების პროგრამა მნიშვნელოვანი იყო ფინანსური განათლების კუთხითაც, ვინაიდან მომხმარებლებს მიეცათ საშუალება, მეტი ინფორმაცია მიეღოთ ლარითა და უცხოური ვალუტით დენომინირებულ სასესხო პროდუქტებს შორის განსხვავებაზე, აგრეთვე კონვერტაციის ხარჯებსა და სავალუტო რისკებზე. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, უმჯობესია, სესხი ლარით ავიღოთ, ვიდრე უცხოური ვალუტით.

სესხები გალარება კვლავაც შესაძლებელია, მაგრამ უკვე სახელმწიფო სუბსიდიის გარეშე. გალარების შემთხვევაში გაუქმებული იქნება სესხის წინასწარ გადახდის 2-პროცენტიანი საკომისიო, – განმარტავენ ეროვნულ ბანკში.

ამასთან, ეროვნული ბანკი ვებგვერდზე უმოკლეს ხანში განაახლებს სპეციალურ კალკულატორს, რომელიც საშუალებას მისცემს დაინტერესებულ მომხმარებელს, გააანალიზოს სესხის გალარების დადებითი მხარეები.

საქართველოში ქალების საშუალო თვიური ხელფასი მამაკაცების ხელფასზე ნაკლებია

დაქირავებით დასაქმებულ ქალთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი საქმიანობის სახეების მიხედვით 2016 წლის IV კვარტალში 795,2 ლარით განისაზღვრა, რაც მამაკაცების ხელფასის იმავე პერიოდის მაჩვენებელზე (1306,6 ლარი) 511,4 ლარით ნაკლებია.

საქსტატის ცნობით, 2016 წლის IV კვარტალში დაქირავებით დასაქმებულ ქალთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი ყველაზე მაღალი 1.333,7 ლარი სამთომოპოვებით მრეწველობაში დაფიქსირდა, ყველაზე დაბალი 559,7 ლარი კი სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობის სექტორში.

რაც შეეხება მამაკაცების საშუალო თვიურ ნომინალურ ხელფასს, 2016 წლის IV კვარტალში, ყველაზე მაღალი შემოსავალი – 3.115,1 ლარი საფინანსო სექტორში დაფიქსირდა, ყველაზე დაბალი საშუალო თვიური სარგო კი, 680,3 ლარი, – განათლების სექტორში.

„გლობალური შიმშილის ინდექსში“ საქართველო 118 ქვეყანას შორის მე-16 ადგილზეა

2016 წლის „გლობალური შიმშილის ინდექსში“ საქართველო მსოფლიოს 118 ქვეყანას შორის მე-16 ადგილზეა.

„ოქსფამის“ კვლევის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მაჩვენებლები 2008 წლის შემდეგ არ გაუმჯობესებულა, შიმშილის საერთო ქულა საქართველოში 8.2-ია, რაც საკმაოდ დაბალია იმ ფონზე, როდესაც სხვა შვიდი ქვეყნის მდგომარეობა შეფასდა, როგორც „საგანგაშო“, 35.0-46.1 ქულების ფარგლებში.

ინდექსის ოთხი კომპონენტიდან ქვეყანას ყველაზე ცუდი ქულა (10.9 – „ზომიერად“) 5 წლამდე ბავშვებში „სიმაღლეში ჩამორჩენის“ გამო მიენიჭა, რაც არასრულფასოვან კვებასთან პირდაპირ კავშირშია.

მეორე მხრივ, ინდექსის თანახმად, 5 წლამდე ბავშვებში სიმაღლესთან შედარებით დაბალ წონას (რომელიც არასრულფასოვანი კვების შედეგია) და სიკვდილიანობას ძალიან დაბალი ქულები – 2.4 და 1.2. აქვს.

ინდექსში ასახული მონაცემები ეყრდნობა იმ ადამიანების მაჩვენებელს, რომელთაც მოხმარებულ საკვებში კალორიების დეფიციტი აქვთ, 5 წლამდე ასაკის ბავშვების მონაცემებს, რომელთა წონაც არ შეესაბამება ნორმას და 5 წლამდე ბავშვთა შორის სიკვდილიანობის მაჩვენებელს.

ამასთან, კვლევის მიხედვით, საქართველოს საერთაშორისო ვაჭრობა კვლავ მწვავე დეფიციტს განიცდის სასოფლო-სამეურნეო, სურსათისა და სასმელების სფეროში, მაგრამ ბოლო პერიოდში შეიმჩნევა პოზიტიური ტენდენციებიც.

– მიუხედავად ამისა, იმპორტზე დამოკიდებულების ხარისხი კვლავ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. 2012 წელს გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მიხედვით, იმპორტირებულმა სურსათმა მოთხოვნის 80% შეადგინა, ხოლო 2014 წელს – 66%, რაც ასევე უჩვეულოდ მაღალი პროცენტია. ზუსტი სტატისტიკის ნაკლებობა განაპირობებს იმას, რომ სასოფლო სამეურნეო წარმოება და სურსათით არაფორმალური ვაჭრობა რჩება ხელისუფლების და მათ შორის სტატისტიკოსების ყურადღების მიღმა. ეს კი განსაკუთრებით მწვავედ ეხება მაღალმთიან რეგიონებს – აღნიშნულია კვლევაში.

რაც შეეხება ისევ „გლობალური შიმშილობის ინდექსს“, რეიტინგში ბოლო ადგილზე არიან ცენტრალური აფრიკა, ჩადი, ზამბია, ჰაიტი, ავღანეთი და ა.შ.

კომერსანტი

„გამრუდებული სასამართლო სისტემა ბიზნესკლიმატზე უარყოფითად მოქმედებს“

საერთაშორისო სავაჭრო პალატის თავმჯდომარე ფადი ასლი გადაცემა „საქმის კურსში“ ბიზნესისა და სასამართლო სისტემის კავშირის შესახებ საუბრობს. მისი თქმით, ჯანსაღი ბიზნესკლიმატისთვის აუცილებელია გამართული სასამართლო სისტემა, რათა არ იქნეს გამოტანილი მიკერძოებული განაჩენები.

– ძირითადი პრობლემა ე.წ. გამრუდებული სასამართლო სისტემაა, ჩვენ უფრო და უფრო მეტ კორუფციულ საქმეებს ვაწყდებით სასამართლოში. უფრო და უფრო მეტია მოსამართლე, რომელიც თავს ხელშეუხებლად გრძნობს და ძალზე მიკერძოებულ გადაწყვეტილებებს იღებს, ერთი მხარის საწინააღმდეგოდ მეორისთვის უპირატესობის მისანიჭებლად.

აღნიშნული ბიზნესკლიმატზე უარყოფითად მოქმედებს და ჩვენ აღნიშნულის ანალიზი უნდა მოვახდინოთ. ვიცნობ რამდენიმე ძალიან მაღალი დონის მოსამართლეს, პატიოსანს, მაგრამ მათ სახელსაც ჩირქი მოეცხო იმ მოსამართლეების მხრიდან, რომლებიც ასეთ გადაწყვეტილებებს იღებენ, – აღნიშნავს ფადი ასლი.

კომერსანტი

„თუ გვინდა, თბილისში ყველა დეველოპერს ვაკეში და ვერაზე არ უნდოდეს მშენებლობა, მარცხენა სანაპირო უნდა განვავითაროთ“

საქართველოს მენაშენეთა ასოციაციის ხელმძღვანელი ირაკლი როსტომაშვილი ფეისბუქის საკუთარ გვერდზე ორთაჭალაში სამთავრობო ქალაქის მშენებლობის შესახებ წერს.

„კომერსანტი“ ირაკლი როსტომაშვილის პოსტს უცვლელად გთავაზობთ:

– თავს უფლებას მივცემ, დავაფიქსირო ჩემი პოზიცია პრემიერ-მინისტრის მიერ 23 მარტს გაჟღერებულ ინიციატივასთან დაკავშირებით:

მიმაჩნია, რომ ძალიან ჭკვიანური გადაწყვეტილებაა სამინისტროებისა და სხვა სამთავრობო უწყებების ერთ ტერიტორიალურ კომპლექსად განთავსება (ამ გადაწყვეტილებას ბევრად მეტი სასიკეთო მხარე აქვს ვიდრე კვირიკაშვილმა ჩამოთვალა).

არ მიმაჩნია სწორედ ამ კომპლექსის დასახელებულ ტერიტორიაზე – ორთაჭალაში



განთავსება;

შევეცდები, ავხსნა:

• თბილისში ცხოვრობს 1.2 მილიონი მოქალაქე. აქედან 1 მილიონზე ცოტა ნაკლები მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, 200 ათასზე ცოტათი მეტი მარჯვენა სანაპიროზე.

• ცხადია ამ კომპლექსის დატვირთვა პროპორციულად მოხდება.

• დამეთანხმებით, ბევრი ფაქტორის გათვალისწინებით (ტრანსპორტი, ხიდები, გზები და ა.შ.) უკეთესია კომპლექსი განთავსდეს მტკვრის მარცხენა სანაპიროზე.

• პირობითად, თუ ამ კომპლექსში დასაქმებული იქნება 5.000 ათასი მოქალაქე და ამდენივე ვიზიტორი (დღეში 10.000 მოქალაქე). ნამდვილად უკეთესი იქნება, 2.000-ს უწევდეს თბილისის 11 ხიდზე ერთი სანაპიროდან მეორეზე გადასვლა, ვიდრე 8.000-ს.

• ტრანსპორტი ბევრად უფრო განვითარებულია და აქვს განვითარების საშუალება მარცხენა სანაპიროს.

• აეროპორტი, სარკინიგზო სადგურები მდებარეობს მარცხენა სანაპიროზე.

• ორთაჭალას არ აქვს მეტროს ხაზი (ძირითადი ურბანული ტრანსპორტი).

• თუ გვინდა, რომ თბილისში ყველა დეველოპერს მხოლოდ ვაკეში და ვერაზე არ უნდოდეს მშენებლობა, უნდა მოვახდინოთ მარცხენა სანაპიროს განვითარება-კაპიტალიზაცია, – წერს როსტომაშვილი.

კომერსანტი

თებერვალში კომერციული ბანკების მთლიანი აქტივები 0.9 მლრდ ლარით შემცირდა

2017 წლის 1 მარტის მდგომარეობით, საქართველოს საბანკო სექტორი 16 კომერციული ბანკითაა წარმოდგენილი; მათ შორის 13 – საწესდებო კაპიტალში უცხოური კაპიტალის მონაწილეობით და 1 – უცხოური ბანკის ფილიალით. თებერვალში, წინა თვესთან შედარებით, საქართველოს კომერციული ბანკების მთლიანი აქტივები (მიმდინარე ფასებში) 0.9 მლრდ ლარით, ანუ 2.9 პროცენტით შემცირდა და 29.3 მლრდ ლარი შეადგინა, თუმცა გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე ეს მაჩვენებელი 0.1 პროცენტით შემცირდა.

საბანკო სექტორის საკუთარი სახსრები 4.1 მლრდ ლარს შეადგენს, რაც კომერციული ბანკების მთლიანი აქტივების 14.1 პროცენტია.

კომერსანტი

გარემოვაჭრეებისთვის ბაზრობებზე ადგილები გამოიყოფა

თბილისის მერია გარემოვაჭრეების პროტესტს ეხმაურება და განცხადებას ავრცელებს.

– გვინდა, ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ გარემოვაჭრეებს როგორც ადრე, ისე ახლაც მიეცათ გაფრთხილება უკანონო საქმიანობის აღკვეთის თაობაზე, რასაც მათი მხრიდან რეაგირება არ მოჰყოლია, შესაბამისად, თბილისის მერია მოქმედებს კანონმდებლობის სრული დაცვით და გაფრთხილებისამებრ, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მათ უკანონო საქმიანობის განხორციელების უფლება აღარ მიეცემათ.

ამასთან, ბაზრობების ასოციაციასთან გამართული მოლაპარაკებების შედეგად, ასოციაცია გამოთქვამს მზადყოფნას დაუყოვნებლივ, შეღავათიანი პირობებით 6 თვის ვადით სავაჭრო ადგილი დაუთმოს თითოეულ მათგანს.

ბაზრობების დირექცია მეწარმეებს ყველა პირობას შეუქმნის საკუთარი პროდუქციის კონკურენტუნარიან პირობებში რეალიზაციისთვის.

რეალიზაციის ობიექტები მოიცავს შემდეგ ტერიტორიებს: რკინიგზის სადგური და მისი მიმდებარე ტერიტორია, დინამოს მიმდებარე ტერიტორია, მეტრო დიდუბის მიმდებარე ტერიტორია, ძველი დეზერტირების ბაზრის ადგილას აშენებული ახალი ბაზრის ტერიტორია, ისნისა და სამგორის ბაზრობების ტერიტორიები.

გარდა ზემოაღნიშნულისა, გვსურს მოვუწოდოთ ყველას, ნუ ეცდებიან თემით სპეკულირებას, ვინაიდან, გარდა იმისა, რომ უნებართვო გარევაჭრობა უკანონო საქმიანობაა, ეს ყველაფერი დაკავშირებულია სხვა სახის პრობლემებთანაც, მათ შორისაა: შეფერხება გადაადგილებისას, უსაფრთხოების ნორმების დაცვის ხელშეშლა, ანტისანიტარია, მალფუჭებადი პროდუქტის შენახვის პირობების დაუცველობა, გაურკვეველი წარმოების პროდუქციის გაყიდვა,

ქალაქში არსებული ტურისტული ზონებისა და თბილისის იერსახის დამახინჯება, – ნათქვამია მერიის განცხადებაში.

კომერსანტი

ვინ დგას დენის ვორონენკოვის მკვლელობის უკან?

ჩვენ უკვე ვწერდით, რომ კიევის ცენტრში რუსეთის დუმის ყოფილი დეპუტატი დენის ვორონენკოვი ჩაცხრილეს.

თავდასხმა მაშინ მოხდა, როცა ვორონენკოვი დუმის ასევე ყოფილ დეპუტატ ილია პონომარიოვთან შესახვედრად მიიჩქაროდა.

დენის ვორონენკოვი 1971 წელს დაიბადა. დაამთავრა სუვოროველთა სასწავლებელი, შემდეგ რიაზანის ესენინის სახელობის სამხედრო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. მუშაობდა რუსეთის სამხედრო პროკურატურაში. 2011 წლიდან იყო სახელმწიფო დუმის დეპუტატი (ფრაქცია კომპარტიის წევრი).

უკრაინულ რევოლუციას თავდაპირველად უაღრესად მტრულად შეხვდა და დუმაში ყირიმის რუსეთის შეერთების სასარგებლოდ მისცა ხმა. პოზიცია მხოლოდ მას შემდეგ შეიცვალა, როცა რუსმა ძალოვნებმა რეიდერობასა და კორუფციაში დაადანაშაულეს. დღის წესრიგში ვორონენკოვისთვის დეპუტატის იმუნიტეტის მოხსნის საკითხი დადგა. მანაც მეუღლესთან, ოპერის მომღერალ მარია მაქსაკოვასთან ერთად რუსეთი დატოვა და თავი უკრაინას შეაფარა.

ამის შემდეგ ვორონენკოვმა რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიას, დონბასში ომის გაჩაღებას ვანდალიზი უწოდა.

– ის, რასაც რუსეთი აკეთებს, შეიძლება, მხოლოდ ნაცისტური გერმანიის ქმედებებს შევადაროთ, – თქა მან.

ექსდეპუტატმა დაადასტურა, რომ უკრაინის ყოფილმა პრეზიდენტმა იანუკოვიჩმა პუტინს უკრაინაში რუსული ჯარის შეყვანა ოფიციალურად სთხოვა. იანუკოვიჩის საქმეში ვორონენკოვი ერთ-ერთი მთავარი მოწმე იყო.

ვორონენკოვის მკვლელობაზე საინტერესო ცნობებს იძლევა ილია პონომარიოვი. მან აღნიშნა, რომ ვორონენკოვი კიევში პუტინის რეჟიმის დანაშაულების შემსწავლელი ცენტრის გახსნას აპირებდა. მას ფსბ-ში კორუფციის ფაქტებზე ფასდაუდებელი ინფორმაცია გააჩნდა, ამით დისკომფორტს უქმნიდა გენერალ ფეოკლისტოვს, რომელიც ფსბ-ში შიდა უსაფრთხოების საკითხებს განაგებს.

– ვორონენკოვის მკვლელობა გენერალმა ფეოკლისტოვმა შეუკვეთა, – ამტკიცებს პონომარიოვი.

ამ მოსაზრებას ექსპერტი ვიტალი პორტნიკოვიც იზიარებს. ის წერს, რომ ვორონენკოვზე თავდასხმა მოულოდნელი არ ყოფილა. გასაოცარია არა რუსების დაუნდობლობა, არამედ უკრაინული სპეცსამსახურების გულარეინობა, რომლებმაც ესოდენ მნიშვნელოვანი მოწმის დაცვა ვერ შეძლეს.

– ვორონენკოვის მკვლელობა ჩვენი სპეცსამსახურების სერიოზული მარცხია, – წერს პორტნიკოვი.

გენერალი იგორ სმეშკო, რომელიც თავის დროზე როგორც სამხედრო დაზვერვას, ასევე უკრაინის უშიშროების სამსახურსაც ედგა სათავეში, აცხადებს, რომ ვორონენკოვის მკვლელობა შემთხვევითი არ არის და ის უკრაინის „ამოსაყირავებლად“ შემუშავებული დიდი რუსული გეგმის ნაწილია.

სმეშკო ხაზს უსვამს, რომ თუკი მოსკოვმა დესტაბილიზაციის აგორება შეძლო, რუსეთის პრეზიდენტი თავის ამერიკელ კოლეგას განუცხადებს: ხომ ხედავთ, უკრაინელებს სახელმწიფოს მართვა არ შეუძლიათ, ამიტომ, მოდით, უკრაინაში ხანძარი ერთად ჩავაქროთ, თორემ ევროპის ცენტრში ახალი სირია გაჩნდებაო. რუსეთ-აშშ-ის მიერ ხანძრის ერთობლივად ჩაქრობა კი უკრაინის გაყოფას ნიშნავს.

მიუხედავად ასეთი საფრთხისა, გენერალი ოპტიმისტურად არის განწყობილი. ის დარწმუნებულია, რომ რუსეთს კოვზი ნაცარში ჩაუვარდება.

– უკრაინა გაიმარჯვებს! ამაში ეჭვი ერთი წამითაც არ მეპარება! – ამბობს სმეშკო.

გენერალი სკაპაროტი: „რუსეთს საერთაშორისო სისტემის დანგრევა სურს!“

აშშ-ის კონგრესის შეიარაღებული ძალების კომიტეტის წინაშე გენერალი სკაპაროტი წარდგა. ის ევროპაში აშშ-ის გაერთიანებული სამხედრო ძალების სარდალია.

გენერალმა განაცხადა, რომ რუსეთი აშშ-ის პარტნიორიდან მის მოწინააღმდეგედ გადაიქცა.

– ჩვენი მოკავშირეები, უკრაინა და საქართველო, რუსეთის მხრივ ინტერვენციის საფრთხის წინაშე დგანან. თურქეთს, რომელიც ასევე ჩვენი მოკავშირეა, როგორც რუსეთის, ასევე ტერორიზმისა და ლტოლვილების პრობლემების დაძლევა უწევს, – განაცხადა სკაპაროტიმ.

გენერალმა ევროპაში შექმნილი სიტუაციის ანალიზი გააკეთა. მან თქვა, რომ რუსეთი ევროპიდან ამერიკელების გაძევებისკენ მიისწრაფის, ამიტომაც ყველაზე აგრესიულ ანტიდასავლურ ძალებს მხარს უჭერს.

– რუსეთს არსებული საერთაშორისო სისტემის დანგრევა სურს. ის ცდილობს დასავლეთის დისკრედიტაციას, რომელმაც ეს სისტემა შექმნა. შედეგად საერთაშორისო ურთიერთობები მკვეთრად დაიძაბა, – აღნიშნა გენერალმა.

აფეთქება მოსულში

მოსულში ბრძოლები გრძელდება. ერაყის არმიამ ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილზე აბსოლუტური კონტროლი დაამყარა, ქალაქის დასავლეთ ნაწილში გამაგრებული ექსტრემისტები კი წინააღმდეგობას განაგრძობენ.

ტერორისტების მიერ საცხოვრებელი სახლების აფეთქებას მსხვერპლი მოჰყვა. დაღუპულია 100 ადამიანი.

მარინ ლე პენი მოსკოვში ჩავიდა

საფრანგეთის პრეზიდენტობის კანდიდატი და ფრანგი ნაციონალ-რადიკალების ლიდერი მარინ ლე პენი მოსკოვში ჩავიდა. ის სახელმწიფო დუმის საგარეო ურთიერთობების კომიტეტის სხდომაზე სიტყვით გამოვიდა.

მადმუაზელ ლე პენმა განაცხადა, რომ ევროკავშირი რუსეთის წინააღმდეგ შანტაჟისა და მუქარის პოლიტიკას ახორციელებს. მან ხაზი გაუსვა, რომ თუკი პრეზიდენტად აირჩევენ, რუსეთის მიმართ დაწესებულ სანქციებს გააუქმებს.

– რუსეთი და საფრანგეთი ისტორიულად მუდამ მოკავშირენი იყვნენ. ახლაც ასე უნდა იყოს, – აცხადებს ქალბატონი ლე პენი.

შეტაკებები ჩეჩნეთში

ჩეჩნეთში პარტიზანული ბრძოლები არ წყდება. სტანიცა ნაურსკაიასთან ჩეჩენი პარტიზანები რუსეთის გვარდიის ყაზარმებს თავს დაესხნენ.

პარტიზანებმა ცადეს, სქელი ნისლით ესარგებლათ და სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე შესულიყვნენ. რუსებმა ისინი უკანასკნელ მომენტში შენიშნეს. ატყდა სროლა.

შედეგად განადგურებულია ექვსი ჩეჩენი მებრძოლი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კალეიდოსკოპი

ფრანგმა წყვილმა სახლის სარდაფში განძს მიაგნო

საფრანგეთის ქვემო რეინის დეპარტამენტში ახალგაზრდა წყვილმა საკუთარი სახლის სარდაფში ვერცხლისა და ოქროს მონეტებისგან შემდგარ განძს მიაგნო.

გასულ კვირას მამაკაცი სარდაფში მიწას თხრიდა, როდესაც გადააწყდა ჭურჭელს, რომელიც ძვირფასი ლითონისგან დამზადებული მონეტებით იყო სავსე. მან მაშინვე თავის მეგობარ გოგონას დაურეკა. მათ ერთად დაახარისხეს და დათვალეს მონეტები. განძი 2968 ვერცხლისა და 17 ოქროს მონეტისგან შედგება.

მონეტები 1473-1610 წლებითაა დათარიღებული. მათ შორის აღმოჩნდა უიშვიათესი სევილიაში (სამხრეთ ესპანეთი) მეფე ფილიპე II-ის მმართველობის დროს მოჭრილი მონეტები. განძი ჯერჯერობით ისევ შეუფასებელი რჩება.

„ბედნიერი სახლი“, რომელიც ახალგაზრდა წყვილმა 2013 წელს იყიდა, 1580 წელსაა აშენებული.

აღსანიშნავია, რომ ხელისუფლება განძის ამოღებას ვერ შეძლებს, ვინაიდან მიწა, რომელზეც სახლია აშენებული, ასევე წყვილის საკუთრებაშია, თუმცა, საფრანგეთის კანონების თანახმად, ხელისუფლებას უფლება აქვს, ხუთი წლის განმავლობაში შეისწავლოს განძი, რომელიც ისტორიულ ღირებულებას წარმოადგენს. ამ ვადის გასვლის შემდეგ შეუძლიათ, მის მფლობელებს ფულადი ანაზღაურება შესთავაზონ.

ჩინეთში ტუალეტის ქაღალდების ქურდობას ებრძვიან

პეკინში მდებარე სამონასტრო კომპლექს „ზეციურ ეკლესიაში“ ტუალეტების კაბინები სახის ამომცნობი მოწყობილობებით აღჭურვეს. ღირსშესანიშნაობის ხელმძღვანელობა ამგვარად აპირებს, ტუალეტის ქაღალდების ქურდობას ებრძოლოს.

ტუალეტით სარგებლობის მსურველი უნდა მივიდეს ტერმინალთან და სახის სკანირების შემდეგ მას 60 სანტიმეტრი სიგრძის ქაღალდს გამოუყოფენ. მეორედ იგივე ადამიანი ტუალეტის ქაღალდის მიღებას ცხრა წუთის შემდეგ შეძლებს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პეკინის ხელისუფლებამ ამგვარ ღონისძიებას მას შემდეგ მიმართა, რაც ტუალეტის ქაღალდის ქურდობა გახშირდა. ბევრს ისინი თან მიჰქონდა. კომპლექსის თანამშრომლების თქმით, ზოგჯერ ახალი ქაღალდის დადება ყოველ 20 წუთში უწევდათ. ახალი აპარატურის დადგმიდან სამ დღეში ტუალეტის ქაღალდის ხარჯი ხუთჯერ შემცირდა.

სამონასტრო კომპლექსი „ზეციური ეკლესია“ იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაშია შესული. ის 1420 წელსაა აგებული და პეკინის ერთ-ერთ სიმბოლოს წარმოადგენს.

იაპონიაში საწოლებიანი კაფე გაიხსნა

იაპონიის დედაქალაქ ტოკიოს ხარაძიუკუს კვარტალში გაიხსნა კაფე, რომელშიც საძინებელი ზონებია შექმნილი.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დაწესებულება 26 მარტს ნესკაფეს შენობაში გაიხსნა. მასში განთავსებულია ათი საწოლი. თითოეულის ფასი ცხრა ათას დოლარს შეადგენს. საწოლები აღჭურვილია განათებით, ასევე ყურსაცმებით, რომლის დახმარებით მომხმარებლები დაძინებას უფრო სწრაფად მოახერხებენ.

დაწესებულების წესების თანახმად, სტუმრებს შეეძლებათ, ორი საათის განმავლობაში დაისვენონ და კაფეს მენიუდან ერთი კერძი უნდა შეუკვეთონ. ასევე ყოველ მსურველს დაძინებამდე ნესკაფეს უკოფეინო ფინჯან ყავას მიართმევენ, ხოლო გაღვიძებულს – ჩვეულებრივს.

ავსტრალიაში ჩვილებისთვის სპა-ცენტრი გაიხსნა

ავსტრალიის ქალაქ პერტში გაიხსნა სპა-ცენტრი, რომელიც განკუთვნილია ბავშვებისთვის, რომელთა ასაკი ორი დღიდან ექვს თვემდეა.

აღსანიშნავია, რომ პირველი მსგავსი ცენტრი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში გაიხსნა. ავსტრალიაში ჩვილებს ჰიდროთერაპიისა და მასაჟის სეანსებს 85 ავსტრალიურ დოლარად (65 ამერიკული დოლარი) სთავაზობენ. ბავშვებს უკეთებენ სპეციალურ გასაბერ ბალიშებს, რომელიც მათ წყალზე გაჩერებაში ეხმარება.

სპა-ცენტრის დირექტორ კავიტი კუმარის თქმით, რომელიც დაწესებულებას თავის და ანიტასთან ერთად ხელმძღვანელობს, წყლის პროცედურები დადებითად მოქმედებს ბავშვების ჯანმრთელობაზე.

– ის ბავშვის ძილის ხარისხს აუმჯობესებს, ამცირებს დისკომფორტს სხვადასხვა რეფლექსისა და პრობლემის წარმოქმნის დროს. რეგულარული ვიზიტები აუმჯობესებს გულ-სისხლძარღვთა და სასუნთქი სისტემების მუშაობას, – განაცხადა დაწესებულების დირექტორმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

რა უნდა ვიცოდეთ მუცლის ტკივილის შესახებ

ეკა ირემაშვილი

მუცლის ტკივილი სხვადასხვა მიზეზით შეიძლება იყოს გამოწვეული, თუმცა უხშირესად მუცლის ღრუს – უმეტესად კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებებისა და ახლომდებარე ორგანოთა დაზიანების ყველაზე გავრცელებული სიმპტომია. მუცლის ტკივილის სწორი შეფასება მეტად მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით მწვავე დაავადებების დროს, რომლებიც გადაუდებელ სამედიცინო ჩარევას მოითხოვს.

რა შეიძლება იყოს მუცლის ტკივილის მიზეზი, რა უნდა ვიცოდეთ მუცლის ტკივილის შესახებ და როდის უნდა მივმართოთ ექიმს? – ამ თემებზე თბილისის ცენტრალური საავადმყოფოს ქირურგი გიორგი ნიკოლიშვილი საუბრობს.

გიორგი ნიკოლიშვილი:

– მუცლის ტკივილი მუცლის ღრუს – უმეტესად – კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებებისა და ახლომდებარე ორგანოთა დაზიანების ყველაზე გავრცელებული სიმპტომია. მუცლის ტკივილის სწორი შეფასება მეტად მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით მწვავე დაავადებების დროს, რომლებიც გადაუდებელ სამედიცინო ჩარევას მოითხოვს.

– რა შეიძლება იყოს მუცლის ტკივილის მიზეზი?

– ზრდასრულ ასაკში მუცლის ტკივილის მიზეზები მრავალფეროვანია, აქედან ყველაზე ხშირია წყლულოვანი დაავადებები – ტკივილი დიაფრაგმის ქვეშ. მუცლის ტკივილს ყველაზე ხშირად კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვან დაავადებას უკავშირებენ. გასტრიტი, ანუ კუჭის ლორწოვანი გარსის ანთებაც ხშირად ასეთივე შეგრძნებებს იწვევს.

არანაკლებ საყურადღებოა ნაღველ-კენჭოვანი დაავადებები. ეს ღრუ ორგანოში ჩალაგებული ქვიშისა და კენჭების ბრალია, რომელიც საკმაოდ არის გავრცელებული და

გიორგი ნიკოლიშვილი

მარჯვენა ფერდქვეშა არეში აღმოცენებული ტკივილით იჩენს თავს. ძლიერ ტკივილს თან ერთვის სიმძიმე, გულისრევა.

– რა ტკივილები ახასიათებს პანკრეატიტს?

– მწვავე პანკრეატიტი იწყება მუცლის ზედა ნაწილში ძლიერი შეტევითი ხასიათის ტკივილით, რომელიც გადაეცემა წელისა და ზურგის მიდამოს. ტკივილის შეტევა უმეტესად ღამით აღმოცენდება, ცხიმიანი საკვების ან ალკოჰოლის მიღების შემდეგ.

– აპენდიციტზე, იმავე ბრმა ნაწლავზე რას იტყვით?

– აპენდიციტის ძირითადი სიმპტომი მუცლის ტკივილია. თავდაპირველად ის მთელ მუცელში შეიგრძნობა, პაციენტს მისი ზუსტი ლოკალიზაციის განსაზღვრა უჭირს. შემდეგ, როდესაც ანთებითი პროცესი ჭიაყელა ნაწლავის გარეთა კედელზე, მოგვიანებით კი პერიტონეუმზე ვრცელდება, ტკივილის ხასიათი იცვლება – ის, შესაძლოა, მკვეთრად გამოვლინდეს ერთ მცირე უბანზე. თუ აპენდიქსი გაიხვრიტა, ინფექცია მუცლის ღრუში გავრცელდება და ტკივილი ისევ მთელ მუცელს მოედება. აპენდიციტს ზოგჯერ თან ახლავს გულისრევა და ღებინება, რომელიც, შესაძლოა, ნაწლავთა გაუვალობით იყოს განპირობებული.

– რა არის მეტეორიზმი?

– მეტეორიზმი მჭრელი ტკივილია მუცლის არეში.

– რას უნდა მიაქციოს ყურადღება ადამიანმა?

– მნიშვნელოვანია, ყურადღება მივაქციოთ თითოეულ სიმპტომს და საჭიროებისამებრ მივმართოთ სპეციალისტს.

20 წლის მოდელი სიკვდილს გადაურჩა

თბილისში, ყაზბეგის გამზირზე, ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. სწრაფი სიჩქარით მიმავალი ავტომობილი ჯერ ავტობუსის გაჩერების ჯიხურს შეეჯახა, შემდეგ კი – პრესის ჯიხურებს.

ავტომობილს 20 წლის მოდელი დიანა ოვანოვა მართავდა. თვითმხილველების განცხადებით, მძღოლი სწრაფი სიჩქარით გადაადგილდებოდა, რის გამოც მან საჭე ვეღარ დაიმორჩილა და ავარიაში მოყვა.

დიანა ოვანოვა საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა მოდელმა იქ დარჩენასა და მკურნალობაზე უარი განაცხადა.

ამ შემთხვევამ საზოგადოების გაღიზიანება გამოიწვია. გახშირებულმა ავტოსაგზაო შემთხვევებმა მოსახლეობა საპროტესტო აქციების აუცილებლობაზე დააფიქრა.

დიანა ოვანოვა:

– მიხარია, რომ გადავრჩი და კარგად ვარ... რაც შეეხება კომენტარებს, რომელსაც ვკითხულობ, რომ პოტენციური მკვლელი ვარ, რატომ არ მოვკვდი, რატომ ვარ ცოცხალი, ამდენი რამის დაზიანებას სჯობდა, მომკვდარიყავი და ასე შემდეგ, ასეთ ადამიანებს მოგიწოდებთ, ნუ იქნებით ასეთი მატერიალისტები, არაადამიანები და ბოროტები, ჩემს ადგილას შეიძლებოდა, ნებისმიერის შვილი, დედა ან და ყოფილიყო.

ნინი წიკლაური ბიჭის დედა გახდა

მომღერალი ნინი წიკლაური და მისი მეუღლე თემო ტუღუში მშობლები გახდნენ. მათ ბიჭი შეეძინათ, რომელსაც საბა დაარქვეს. პატარა ამერიკაში, ნიუ იორკში დაიბადა.

ინფორმაცია ამის შესახებ მომღერალმა თავად გაავრცელა:

– დაიბადა ჩვენი პირველი – 23.03.2017 – საბა ტუღუში!

ნინი საქართველოდან ამერიკაში სპეციალურად მშობიარობისთვის წავიდა. ყველაფერმა კარგად ჩაიარა და დედა-შვილი თავს კარგად გრძნობს.

ნინი წიკლაური თემო ტუღუშზე გასულ წელს დაქორწინდა. მათ ქორწილი თბილისში გადაიხადეს. ნინი პირად ცხოვრებაზე არასდროს საუბრობდა ხმამაღლა, ამიტომაც თავისი რჩეულის ვინაობასაც ქორწილამდე საგულდაგულოდ მალავდა.

ნინი, თემო და პატარა საბა უამრავ მილოცვასა და საუკეთესო სურვილს იღებენ.

თიკო ნატროშვილი მეორედ გათხოვდა

მოდელი და ჟურნალისტი თიკო ნატროშვილი მეორედ გათხოვდა. ინფორმაცია და ქორწინების ამსახველი ფოტოები თიკომ ინტერნეტში თავად გაავრცელა:

– ცოლი ვიცი მე ასეთი.. სტაბილური! „მეორედ“ გავთხოვდი და ისევ ჩემს ქმარს გავყევი.

თიკო ნატროშვილის მეუღლე გაბრიელ ხაბულიანია. წყვილს ორი ბიჭი ჰყავს. თიკომ და გაბრიელმა თბილისის იუსტიციის სახლში მოაწერეს ხელი და მათი მეჯვარეები მომღერალი სალომე ბაკურაძე და მისი მეუღლე, პროდიუსერი ლაშა ბასლანძე იყვნენ.

ახლადდაქორწინებულების ფოტოებმა ბევრი მოწონება, მილოცვა და დადებითი სურვილი დააგროვა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ქალვიდოსკოპი

ქურდი მაღაზიის ვიტრინაში გაიჭედა

საფრანგეთის პოლიციამ დააკავა ქურდი, რომელიც ძარცვის დროს მაღაზიის ვიტრინაში გაიჭედა. ამ ინფორმაციას ასოშეიტედ პრესი ავრცელებს.

საფრანგეთის ეროვნულმა ჟანდარმერიამ ტვიტერში გამოაქვეყნა ფოტოსურათი, რომელიც სამართალდამცავებმა შემთხვევის ადგილზე გადაიღეს.

– მთვრალმა მაღაზია გაქურდა, მაგრამ ვიტრინაში გაიჭედა და ადგილზევე იქნა დაპატიმრებული, – ნათქვამია კომენტარში, რომელიც ხეშტეგს „ბანდიტური ცხოვრება“ ახლავს თან.

ინციდენტი ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარე ქალაქ მოლეონ-ლიშარში მოხდა. ეჭვმიტანილმა ჩაქუჩის გამოყენებით ვიტრინის მინაში ხვრელი გააკეთა და მაღაზიაში შეაღწია. შემდეგ ის შეეცადა მაღაზია იმავე გზით დაეტოვებინა, მაგრამ მხოლოდ წელამდე გამოძრომა მოახერხა. იმისთვის, რომ მამაკაცი ბოლომდე გამოეყვანათ, პოლიციელებს მეხანძრეების დახმარება დასჭირდათ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

● სიახლე! სტომატოლოგიური კლინიკა გთავაზობთ მომსახურებას თქვენს ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ორი ყბის ფასი 280 ლარი. იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09, 295-40-58 ჯემალი.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგი. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

მეამბოხე კრუიფი

მეტად გამბედავ და გამჭრიახ იოჰან კრუიფს მთელი ცხოვრების განმავლობაში თავისი საფეხბურთო ხედვისა და კონსერვატიზმის კრიტიკის გამო აჯანყების ლიდერად მიიჩნევდნენ, განსაკუთრებით – ბარსელონის ქუჩებსა და სტადიონ „კამპ ნოუზე“ თავმოყრილი ადამიანები. ამის ერთ-ერთი დამადასტურებელი საბუთი არის გამოცემა სპორტის ნომერი, რომელიც კრუიფის გარდაცვალების მეორე დღეს გამოვიდა და გარეკანზე მოხვდა ფოტო, სადაც ის ჩე გევარას ჰგავს.

ამავე ნომერში გარეკანზე მოხვდა კრუიფის ბარსელონაში თამაშის დროს გადაღებული ფოტოც (1975 წელი, მალაგასთან მატჩი). სურათზე ჩანს, რომ პოლიციელები იოჰანის მოედნიდან გაყვანას ცდილობდნენ მას შემდეგ, რაც მთავარმა არბიტრმა ის კამათის გამო გააძევა. გადმოცემების თანახმად, ბარსელონის ლეგენდამ კატალონიის დროშის ფერებით მოხატული კაპიტნის სამკლავური მოიხსნა და აღფრთოვანებული მაყურებლის წინაშე მას აკოცა. დღემდე ეს დიქტატორ ფრანსისკო ფრანკოს მმართველობის წინააღმდეგ მტკიცე ბრძოლის აქტად ითვლება.

... 1936 წლის 17 ივლისს ესპანეთის რესპუბლიკის მთავრობის წინააღმდეგ დაიწყო შეიარაღებული ბრძოლა ესპანეთის არმიის გენერალთა ერთი ჯგუფის მიერ. აჯანყებულებს მხარდაჭერა ჰქონდათ ფაშისტური იტალიისა და ნაცისტური გერმანიისგან, ასევე ავტორიტარული ესტადო ნოვოს რეჟიმისგან პორტუგალიაში. ნაციონალისტების გაძლიერებას ხელს უწყობდა დამოუკიდებელ მემარჯვენეთა ესპანური კონფედერაცია, კარლისტები და ფაშისტური ფალანგა. იგრძნობოდა კულტურული დაპირისპირება კასტილიელებს, კატალონიელებსა და ბასკებს შორის.

დაიწყო სისხლიანი სამოქალაქო ომი, რომელიც თითქმის 4 წელი გაგრძელდა. ათასობით მოხალისე ჩაეწერა რესპუბლიკელების რიგებში, უმეტესად – საერთაშორისო ბრიგადებში კომინტერნის ეგიდით. 1937 წელს მადრიდი გარშემორტყმული იყო ფაშისტური ჯარებით. დაეცა კატალონიის უამრავი რეგიონი და ბასკეთის მხარე. 1939 წელს ძალაუფლება ხელში აიღო გენერალისიმუსმა ფრანსისკო ფრანკომ. დაიწყო რესპუბლიკელების შევიწროება, აიკრძალა ეროვნულ თვითმყოფადობასთან დაკავშირებული სიმბოლოები და ტრადიციები.

მემარჯვენე მთავრობას არ მოსწონდა, თუ როგორ აღიქვამდა დანარჩენი მსოფლიო ესპანეთს, რის გამოც ფეხბურთი პროპაგანდის იარაღად იქცა. კლუბებს შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა მადრიდის რეალი, რომელსაც მე-20 საუკუნის 50-იან წლებში ევროპაში სახელი ჰქონდა განთქმული. დედაქალაქში ბაზირებული გუნდი განასახიერებდა ფრანკოს იდეას ცენტრალიზებულ ესპანეთთან დაკავშირებით. მეორე მხრივ, დიქტატორული მმართველობა კატალონიის ბარსელონასა და ბასკურ ბილბაოს ატლეტიკში ხედავდა რესპუბლიკანიზმის ბუდესა და რეგიონულ იდენტობას. ნებისმიერი ენის გამოყენება, გარდა კასტილიურისა, აკრძალული იყო. კლუბთა სახელების კატალონიური და ბასკური ვარიანტები კასტილიური ეკვივალენტებით ჩანაცვლდა.

1943 წელს ბარსელონა, რომლის მემარცხენე პრეზიდენტი ხოსეპ სუნიოლი მმართველი პარტიის ბრძანებით ფაშისტმა ჟანდარმებმა დახვრიტეს (1936), გენერალისიმუსის თასის ნახევარფინალში მადრიდის რეალს დაუპირისპირდა. პირველ მატჩში კატალონიელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 3:0. ჟურნალისტი ჯიმი ბარნსი თავის ნაშრომში „ბლაუგრანას“ ისტორიის შესახებ წერს, რომ განმეორებითი შეხვედრის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე სახელმწიფო უშიშროების სამმართველოს დირექტორი კატალონიური კლუბის გასახდელში შევიდა და ფეხბურთელებს შეახსენა, რომ მათი უმეტესობა ესპანეთში ომისდროინდელი გადასახლებიდან ახალდაბრუნებული იყო და მხოლოდ ამნისტიის წყალობით შეძლეს ჩამოფრენა:

– არ დაგავიწყდეთ, რომ თქვენ მხოლოდ ამ რეჟიმის ლმობიერების გამო შეძელით მატჩში მონაწილეობა. ჩვენ გაპატიეთ თქვენი არასაკმარისი პატრიოტიზმი.

იმ დროს ცილისწამება იმდენად ხშირი იყო, რომ მოთამაშეებმა ამ სიტყვებში მუქარა ადვილად ამოიკითხეს – საპასუხო მატჩი ბარსელონამ 11:1 წააგო.

1951 წლის წვიმიან კვირას, „ლეს კორტსზე“ სანტანდერის რასინგის წინააღმდეგ გამართული მატჩის შემდეგ, რომელიც ბარსას გამარჯვებით (2:1) დასრულდა, ქომაგებმა ტრამვაის მუშათა გაფიცვის მხარდაჭერის მიზნით სახლში ფეხით დაბრუნება გადაწყვიტეს.

როდესაც ექსპლუატაციაში შევიდა სტადიონი „კამპ ნოუ“, ის გახდა ერთადერთი ადგილი, სადაც საზოგადოებას თავისუფლად შეეძლო საუბარი მშობლიურ ენაზე – კატალონიურად.

მაშინ ბარსელონა თითქმის ვერ ახერხებდა ტიტულების მოგებას, მადრიდის რეალი კი შიდა ჩემპიონატის ლიდერი იყო და ევროპულ არენაზეც ყველას უგებდა.

სტაგნაციის პერიოდის შემდეგ ჩვეულებრივ, გვერდითი ჩარევაა საჭირო, რათა მექანიზმი კვლავ ამუშავდეს. და აი, მიეგებეთ – იოჰან კრუიფი.

აიაქსის კაპიტანმა მას შემდეგ, რაც ზედიზედ სამჯერ მოიგო ევროპის ჩემპიონთა თასი, გუნდის დატოვება გადაწყვიტა. ჰოლანდიელთა ხელმძღვანელობას იოჰანის მადრიდის რეალში გაყიდვა სურდა, ხოლო თავად ფეხბურთელს – ბარსელონაში გადასვლა, სადაც ის ყოფილ დამრიგებელ რინუს მიხელსთან ერთად მუშაობას შეძლებდა.

კატალონიელებმა კრუიფის საქციელი აღიქვეს იმ კლუბის უარყოფად, რომელიც ფრანსისკო ფრანკოს განასახიერებდა. ეს მხოლოდ დიქტატორის რეჟიმის დადანაშაულებას არ ნიშნავდა – მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელმა იცოდა, რომ გუნდი, რომელსაც უერთდებოდა, ტურნირის ერთ-ერთი აუტსაიდერი იყო, მაგრამ ის ამან ვერ შეაჩერა.

იმავე სეზონში, სანამ ფრანკო მადრიდელებს საავადმყოფოდან უჭერდა მხარს, კრუიფი „ლურჯ-ბროწეულისფრებს“ ისტორიული გამარჯვების მოპოვებაში დაეხმარა – 5:0 რეალის წინააღმდეგ! ათასობით ადამიანი გამოვიდა ბარსელონის ქუჩებში საყვარელი გუნდის ტრიუმფის აღსანიშნად. მაშინ ნიუ იორკ ტაიმსის ჟურნალისტმა დაწერა, რომ მოედანზე გატარებულ 90 წუთში იოჰანმა კატალონიისთვის იმაზე მეტი გააკეთა, ვიდრე პოლიტიკოსებმა მრავალწლიანი ბრძოლისას. ჰოლანდიელის დახმარებით „ბლაუგრანამ“ 17-მატჩიანი წაუგებელი სერია ჩაატარა და 1960 წლის შემდეგ პირველად მოიგო ტიტული.

კრუიფის ბარსელონაში თამაშის დროს „ლურჯ-ბროწეულისფრებმა“ ბევრი ტიტული ვერ მოიპოვეს, მაგრამ ამან ჯიმი ბარნსს თავის წიგნში იოჰანის მოსვლის შემდეგ მომხდარი ცვლილებების აღწერაში ხელი ვერ შეუშალა:

– მან გუნდს მოქნილობა, სისწრაფე და რწმენა შემატა. ფეხბურთელებს სჯეროდათ, რომ კრუიფთან ერთად არასდროს დამარცხდებოდნენ.

კატალონიელებს ჯერ კიდევ არ მოეშუშებინათ სამოქალაქო ომის დროს მიღებული ჭრილობები და ახსოვდათ საზარელი მომენტები. გუნდში ისეთი მოთამაშის გადმოსვლა, რომელსაც სამაგალითო დამოკიდებულება ჰქონდა საქმისადმი მოედანსა და მის ფარგლებს გარეთ, მათთვის გამბედაობის წყაროდ იქცა.

როგორც მოთამაშემ და როგორც მწვრთნელმა, კრუიფმა სამუდამოდ შეცვალა ფეხბურთი თავისი უნიკალური გზებით, მაგრამ, რომ გავიგოთ, თუ რატომ იყო ის მუდამ აჯანყებული, უნდა გავიხსენოთ წარსული.

კრუიფის დებიუტი აიაქსში 1964 წელს, 16 წლის ასაკში შედგა. შემდგომში ის გუნდის შეუცვლელი ფიგურა, კლუბისა და ახალი ამსტერდამის სახე გახდა. ნაკრებში მიწვეულმა იოჰანმა, რაც ახალგაზრდა ფეხბურთელისთვის დიდი პატივი იყო, მოითხოვა ადეკვატური

დამოკიდებულება მოთამაშეებისადმი ფედერაციის მხრიდან და ღირსეული ანაზღაურება.

როცა კრუიფმა გაიგო, რომ ფედერაციის ხელმძღვანელები არიან დაზღვეულები საზღვარგარეთ მოგზაურობისა და მივლინებების დროს, ხოლო ფეხბურთელები – არა, მან გადაწყვიტა, ეს შეეცვალა და ყველაფერი გაეკეთებინა დასახული მიზნისთვის. გრძელმა შეკითხვებმა და მუდმივმა დაპირისპირებამ ბიუროკრატებთან იოჰანი საკულტო ფიგურად და ქვეყნის კულტურული რევოლუციის სახედ აქცია.

როგორც მე-20 საუკუნის 60-იანი წლების ყველა სხვა ახალგაზრდა მოთამაშე, კრუიფიც იყო ახალჩამოყალიბებული კულტურის გავლენის ქვეშ. რამდენიმე წლის განმავლობაში ცხოვრების ყველა სფეროში ზედიზედ განცდილი დაუნდობელი მარცხის გამო ის უმართავი გახდა, რაც კატალონიაშიც შემოიტანა. სწორედ ეს იყო მაშინ საჭირო ღირსებისთვის საბრძოლველად. დოკუმენტურ ფილმში იოჰანი ამბობდა, რომ დაიბადა ომის შემდეგ და წესად აქცია, არაფერი ჩამოეყალიბებინა რწმენად.

კრუიფმა კატალონიის დაპირისპირება ფრანკოს რეჟიმთან მიიღო, როგორც საკუთარი ბრძოლა. 1974 წელს ვაჟს ჟორდი დაარქვა – ეს მაშინ, როცა კატალონიური სახელები აკრძალული იყო.

როცა ოფიციალურმა პირებმა ბავშვის ამ სახელით დარეგისტრირებაზე უარი თქვეს, ჰოლანდიელმა მათ ბიჭისთვის იოჰან-ჟორდის დარქმევა დაავალა. მისი გამბედაობის შესახებ ლეგენდები იწერებოდა. ამან კატალონიელებისათვის კრუიფი შინაურ, ახლო პიროვნებად აქცია. სხვა დოკუმენტურ ფილმში, რომელიც მის ბარსელონაში მოღვაწეობას ეხება, იოჰანმა აღიარა, რომ არ იცოდა აკრძალვის შესახებ, მაგრამ, როცა გაიგო, ნებისმიერ ფასად მიზნის მიღწევა გადაწყვიტა.

1977 წელს იოჰანი თავის ოჯახთან ერთად გატაცების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, რის გამოც კრუიფმა ეროვნული ნაკრების დატოვება გადაწყვიტა, მაგრამ მან სიმართლის დანახვის უნარი შეინარჩუნა. კითხვაზე, თუ რა იყო 1978 წელს არგენტინაში (სადაც მაშინ მილიტარისტული რეჟიმი მოქმედებდა) გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე მისი არყოფნის მიზეზი, იოჰანმა უპასუხა:

– როგორ შეიძლება, ფეხბურთი ვითამაშო, როცა ჩემგან ერთი კილომეტრის მოშორებით წამების ოთახია?!

2013 წელს კატალონიის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით დასმულ კითხვაზე იოჰანს გაეცინა. ლეგენდამ თქვა:

– შეუძლებელია, თავი აარიდო პოლიტიკას. სწორედ ამიტომ ვარ მასთან დაკავშირებული.

როგორც მწვრთნელმა და როგორც ფეხბურთელმა, კრუიფმა წარუშლელი კვალი დატოვა კატალონიის ისტორიაში. მან ფეხზე წამოაყენა ხალხი, რომელმაც მძიმე მარცხი გადაიტანა, იმედი ჩაუსახა და სიამაყის მიზეზი მისცა მათ.

მთელი ცხოვრების განმავლობაში იოჰან კრუიფი ქედს იხრიდა კატალონიის წინაშე და ამ მხარემაც მიიღო ის, როგორც თავისი ღვიძლი შვილი.

2016 წლის 24 მარტს ბარსელონის გერბთან ერთად „კამპ ნოუზე“ კატალონიის დროშაც აღიმართა. ამ დღეს კრუიფი დაავადებასთან ბრძოლაში დამარცხდა.



მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

ოთხშაბათი 27 მარტი

07.00 დოკ/ფ "ჯეიმი ოლივერის რევოლუცია კვების სფეროში" **08.00** "მადაგასკარის პინგვინები" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **12.30** "სპორტის დაფა" **12.45** "კაცების დრო" **13.45** "ტელემანი" **14.00** "გურმანია" **14.30** "წიგნების თარო" **15.00, 03.15** "x სტუდია" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00, 04.15** "რეალური სივრცე" **21.00** ტ/სერ. "**ველვეტი**" **22.00** "მთავარი" - თამარ ჩიქოვანთან ერთად **23.00** "ეროვნული ლიგის მიმოხილვა" **00.00** მხ/ფ "**ერთხელ წრეზე**" **02.00** მხ/ფ "**მშვიდობით ბარი**"

08.00 დ/ფ "ვენჯოუს ფირმის ფეხსაცმელი" **09.00** დ/ფ "სკეიტბორდის ისტორია" **10.00** დ/ფ "როცა ეგვიპტელები წითელ ზღვაზე დაცურავდნენ" **11.00** დ/ფ "ტვინი სარკეში" **12.00** ტ/სერ. "**ეკვას სამი ვარდი**" **13.00** ტ/სერ. "**ჩინეტო ვეტრინე**" **14.00** დ/ფ "ყალმუხრეთის ბუდისტი ბერები" **15.00, 18.00**"ბრიფინგის დრო" **17.00** დ/ფ "კრისტიან ბოლტანსკის შესაძლო ცხოვრებები" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **22.00** ტ/სერ. "**ჩიკაგოს პოლიცია**" **23.00** "მოამბე" (3 ენაზე) **00.30** "ნამდვილი დრო" **01.00** მხ/ფ "**სწრაფები და შმაგები**"

05.50, 14.40 სერ. "**ელიფი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.30** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**პაპარაძალი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** დღის შოუ **17.35** სერ. "**სტამბოლის ორი სახე**" **18.45, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** იუმორინა **23.30** სერ. "**სახიფათო კავშირი**" **4** სერ. **01.30** მხ/ფ "**საქმე 39**"

06.00, 16.55 სერ. "**ოქროს გალია**" **06.45, 20.10** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**სრემლების გვირგვინი**" **15.55** სერ. "**ინდური საბა**" **19.00, 20.03** სერ. "**ვენი ზოდიაქოს ფერი**" **22.00** კომედი. კონცერტი - **2013**

08.00 ან/სერ. "ავატარი" **09.00, 19.00** სერ. "**დოქტორი ჰაუსი**" **11.00** სერ. "**მშობლები**" **13.00** სერ. "**სიმართლის ანატომია**" **15.00** სერ. "**სასტუმრო**" **17.00** სერ. "**სასოწარკვეთილი დისასახლისები**" **21.00** სერ. "**გომორა**" **22.30** მხ/ფ "**დასაწყის**" **01.15** მხ/ფ "**მაფიელი**" **03.50** მხ/ფ "**პამელატი**"

